# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 მაისი, 2013 წელი.

№89 (7216)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# შეშა ჯოჯოხეთის ცეცხლისთვის



## საზოგადოება და ხელისუფლება სექსუალურ უმცირესობათა შესახებ

„არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათმავალთა სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6,9-10).

5

## საძულველზე სიყვარულით როგორ ვილაპარაკო!?

4

პრეზიდენტის არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვეღა რჩება. საპრეზიდენტო ვადის მხრივ ორპარასკევდარჩენილი პრეზიდენტი სააკაშვილი, როგორც ჩანს, დროს ეშურება – დადის, მაგრამ რას დადის! საერთო მანძილის გავლაში, ალბათ, დღემდე მთელ მსოფლიოში ყველა სახელგანთქმულ მოგზაურს აჯობა, თუმცა ისინი თავიანთი ხარჯით დადიოდნენ და პლანეტას სწავლობდნენ. სააკაშვილი კი, იმათგან განსხვავებით, სახელმწიფო ხარჯით დადის, თანაც მორჩილ ქვეშევრდომთა ამალით, მხოლოდ და მხოლოდ ახალი ხელისუფლების საგინებლად და თავლაფდასასხმელად. და დადის და დადის, ახლაც ამერიკაშია. საქართველოში დღეს ყოველ კუთხე-კუნჭულში ეკითხებიან ადამიანები ერთმანეთს: რას დადის, რისთვის დადის, რა მოგზაურობა აუტყდა ამ უკვე არაჩვენს სააკაშვილს. სწორედაც ასეთ „მოგზაურზე“ უთქვამს ხალხს, გიჟი ქალაქს მიდიოდაო, და პოეტსაც მარჯვედ გამოუყენებია ეს ძველი ხალხური სიბრძნე.



### ელა გოჩიაშვილი

## „გიჟი ქალაქს მიდიოდა“

**ციკლიდან „კახურები“**

გიჟი ქალაქს მიდიოდა...
ტანით – ბრგეს და ჭკუით –
ქონდარს,
ვერ ხვდებოდა შინ პატრონი,
რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა...

განა შიგადაშიგ გიჟი,
ხანდახან და ალაგ-ალაგ!
კაი ჯილა, სტაბილური
გიჟი მიდიოდა ქალაქს.

ეს სარითმო წყვილი მომწონს:
„მიდიოდა“ – „დიდი ოდა“.
არაფრისთვის... ისე... ხოშზე, –
გიჟი ქალაქს მიდიოდა.

ხან – კიევი, ხან – დავოსი,
ხან რომი და ხან – პარიზი;
რა მიჰქონდა... რა მოჰქონდა...
მიდიოდა ქალაქს გიჟი.

მალავს, თორემ, სხვასაც
კი ჰყავს
თითოცა და შვიდიოდეც;
რა ძნელია, შენი გიჟი
სულ სადღაცას მიდიოდეს.

ფრთხილად, გიჟის პატრონებო! –
იქნებ იგიჟიანებს!
ისე არ ქნათ, ეს ქვეყანა
თავს დაგამხოთ ჭკვიანებს.

## რით უპასუხებს გოგია გიორგის დემაგოგიას?

ჭკუით და ფრთხილად, ბნაცმოძრაო-ბელნო!

2

## „გამარჯვებულმა“ თბილისმა აჭარის „დაბრუნება“ აღნიშნა



7

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აქტუალური ინტერვიუ

# ბიძინა ივანიშვილი: საქართველო რუსეთთან ურთიერთობების „გადასატვირთად“ ყველაფერს აკეთებს

**საქართველო რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ მიისწრაფვის, — ამ სათაურით ავრცელებს ტელეკომპანია „ევრონიუსი“ ნატალია რიჩარდსონ-ვიკულინას ინტერვიუს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან. პრემიერი ინტერვიუში ამბობს, რომ ყველაფერს აკეთებს საქართველოს დიდ მეზობელთან ურთიერთობის „გადასატვირთად“ და გასაუმჯობესებლად.**

„რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ახლანდელი მდგომარეობა არავის ინტერესებში არ შედის. საქართველომ ტერიტორიების 20% დაკარგა და ყველაფერს გავაკეთებთ მათ დასაბრუნებლად. თუმცა, ამავდროულად, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ ამას მშვიდობიანად და მოლაპარაკებების გზით მოვახერხებთ. ძალადობა და შეიარაღებული დაპირისპირება ჩვენთვის მიუღებელია. ასე რომ, კიდევ ერთხელ განვმეორდები — მიზანს მშვიდობიანი გზით მივაღწევთ. ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხში საერთაშორისო თანამეგობრობაც გაგვიწევს დახმარებას და მისი მხარდაჭერა გვექნება“, — განაცხადა „ევრონიუსთან“ ინტერვიუში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.



ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ურთიერთობის ნორმალიზაციის კარგი მაგალითია სერბეთი-კოსოვო. მათი შეთანხმება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მსოფლიო იცვლება და ადამიანები, რომლებსაც წარსულში არცთუ წარმატებული ურთიერთობა ჰქონდათ, ახლა საერთო ენაზე საუბრობენ და როგორღაც მოახერხეს მიეღწიათ შეთანხმებისთვის.

**— ასე რომ, ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ ჩვენს ძმებთან — ოსებთან, აფხაზებთან და, რა თქმა უნდა, რუსებთან ურთიერთობის დასალაგებლად,** — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

რაც შეეხება აგვისტოს ომის გამოძიებას, რომელსაც მიხეილ სააკაშვილმა რუსული სცენარი უწოდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ეს სააკაშვილის სტრატეგიაა და ყველაფერში, რაც მას არ მოსწონს, პრეზიდენტი რუსეთს ადანაშაულებს.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, 2008 წლის საქართველო-რუსეთის კონფლიქტზე გამოძიების დაწყება ნორმალურია.

**— სააკაშვილი ასევე ფიქრობს, რომ შეუძლებელია ნატოში გაწევრება რუსეთთან კარგი ურთიერთობის პარალელურად. თუმცა მე ვფიქრობ, რომ შესაძლებელია, გვქონდეს კარგი ურთიერთობა როგორც ნატოსთან, ისე რუსეთთან. სააკაშვილი რუსეთისგან იყო გაღიზიანებული,** — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა საქართველო ნატოში გაწევრდეს მომავალი 10 წლის განმავლობაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ათი წელი საკმაოდ ბევრია.

**— ვფიქრობ, ეს საკითხი უფრო ადრე მოგვარდება. ჩვენ ასევე უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიო ცვლილებების დინამიკა. მსოფლიო იცვლება, ყველაფერი იცვლება. ასე, რომ, ერთ-ორ წელიწადში, შესაძლოა, რუსეთიც შეიცვალოს და უკეთესი ურთიერთობები დაამყაროს ნატოსთან,** — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

რაც შეეხება საქართველოს ევროკავშირში გაწევრებას, „ევრონიუსთან“ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საქართველო ამ მიმართულებით უფრო სწრაფი ტემპით მიიწევს, ვიდრე მანამდე.

**— მიუხედავად ჩვენი ოპონენტების განცხადებისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომდევნო ორ წელიწადში ჩვენ უფრო დავუახლოვდებით ევროპას,** — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

„ევრონიუსთან“ საუბრისას საქართველოს პრემიერი ასევე შეეხო სოჭის ოლიმპიადის საკითხს და განაცხადა, რომ ქართველი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში.

**— სპორტი და კულტურა ის სფეროებია, რომლებიც ურთიერთობის გაუმჯობესებას უწყობენ ხელს, განსაკუთრებით კი ოლიმპიური თამაშები. მაგალითად, ძველი ბერძნები გავიხსენოთ — ოლიმპიური თამაშების დროს ომებიც კი წყდებოდა. ასე, რომ სპორტი და კულტურა ურთიერთობის გაუმჯობესებაში დაგვეხმარება, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც ჟურნალისტის ლირიკულ გადახვევას „შენ ხარ სპორტი და შენ ხარ მშვიდობა!“, დადებითად უპასუხა და განაცხადა: „დიახ, რა თქმა უნდა, შენ ხარ სპორტი და შენ ხარ მშვიდობა!“.**

ცნობისთვის: „ევრონიუსის“ ჟურნალისტმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მეორე პრეზიდენტის, ლიტერატორისა და საზოგადო მოღვაწის, 1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიადის ხელოვნების კონკურსის ოქროს-მედალოსან, პიერ დე კუბერტენის ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოები „ოდა სპორტს“ გაიხსენა.

მე გამიფრთხილებიხართ და...

# რით უპასუხებს გოგია გიორგის დემაგოგიას?

## ჭკუით და ფრთხილად, გნაცმოძრაობელნო!

**სტუდენტობისას ერთი ძმაკაცი მყავდა, ქიზიყელი გოგია. ზოგჯერ ხუმრობით ავგოგიასაც ვეძახდით. ცუდი ხასიათისა თუ ავზნიანობის გამო კია არა, უბრალოდ, იმისთვის, რომ სიცრუეს, შეგნებულ ტყუილსა თუ წრეგადასულ თავხედობას ვერ იტანდა და ამ დროს ავად დაუნდობელი ხდებოდა. როდესაც კამათისას ასეთს ვისმეს შეეფეთებოდა და მოთმინების დაკარგვის ზღვარზე მყოფი ამოიქუხებდა, — ხელები მექავებაო, თუმც შებრალების ღირსი არ იყო, მაინც მეცოდებოდა იმისი დემაგოგი ოპონენტი — ჩემს მტერს გოგიას მუშტი.**

ჩემდაუნებურად სწორედ ავგოგია გამახსენდა „რუსთავი-2“-ზე ნინო შუბლაძის „პოზიციაში“ გიორგი ვაშაძის ყურება-სმენისას, როდესაც ამ საპარლამენტო **უმწირესობის** წევრის აშკარად დემაგოგიურმა გამოხდომებმა ტელევიზორი გამათიშინა.

გამოძიება ბოლომდე უნდა მივიდესო, ისეთი კატეგორიულობით მოითხოვდა, თითქოს ეს პროცესი ორიოდ დღის წინათ კი არა, სულ მცირე, ერთი წლით ადრე მაინც დაწყებულიყოს და, რაც მთავარია, ხელისუფლება გახლდეთ მისი განგრძნობის წინააღმდეგი.




თან ასეც დაგვმოძღვრა: **„წინასწარ იმის დაანონსება თუნდაც პრემიერის მხრიდან, რომ ახლა ჟურნალისტები ვისაც იტყვიან, ყველას ხომ არ მოვხსნით და ყველას იმას ხომ არ ვუზამთ, ეს არ არის სწორი, ეს არის პირდაპირი ზეწოლა გამოძიებაზე“.**

ვიდრე ამის გამო მცირე კომენტარს გავაკეთებდე, მოდით, ამის თაობაზე ორშაბათს, ჟურნალისტებთან შეხვედრისას, პრემიერ-მინისტრის ნაუბარი გავიხსენოთ სიტყვა-სიტყვით: **„ლაშა ნაცვლიშვილი იმიტომ უნდა გადადგეს, რომ ელისო კილაძეს ასე სურს? გამოძიება გრძელდება. ის, რომ ელისო კილაძე და სხვებიც რაღაცას აცხადებენ, ამას არა აქვს არავითარი საფუძველი. ჯერ არც ერთი ბრალდება არ არის წარმოდგენილი მათი მხრიდან და რამდენიმე კვირაა, აჟიოტაჟი გრძელდება. ამ აჟიოტაჟის მსხვერპლი გახდა გელა ხვედელიძეც. მის წინააღმდეგ მათ არავითარი საბუთი არ წარმოუდგენიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ის სუსტი პიროვნება აღმოჩნდა და გამოიყენა ის მასალები, რომლებიც გადაღებული იყო წინა ხელისუფლების მიერ. ის კანონის შესაბამისად დაისჯება“.**

სად არის აქ გამოძიებაზე ზეწოლა? ან, თუ ეს არასწორია, იურისტო ვაშაძევ, რა არის სწორი, ის რომ ელისო კილაძის სურვილით მოხსნან თუ დაიჭირონ ვინმე? **რაო, ქალბატონი ელისო ჟურნალისტია თუ, სულ მცირე, მართლმსაჯულების ქალღმერთი თემიდა?**

იქნებ ის უფრო იყოს სწორი, **უმწირესობის** წევრო, რაც ამის პასუხად ოპონენტმა ეკა ბესელიამ გითხრა, — **გაზეთის პუბლიკაციათა მიხედვით რომ იჭერდნენ ადამიანებს, ნაცმოძრაობის თითქმის მთელი ელიტა დიდი ხანია, ციხეში უნდა იჯდესო?**

კი გითხრა, მაგრამ როდესაც მავანის შუბლზე ის ძარღვია გაწყვეტილი, რომელიც...

მე ტელევიზორი კი გამოვრთე და ამით იგი დამტვრევას გადავარჩინე, მაგრამ შენ როგორ გიშველო და გადაგარჩინო, **უმწირესობის** წევრო, სერიოზულ „ავარიას“, თუ სადმე, ქუჩასა თუ, ვთქვათ, რესტორანში, შენი ზღვარდაუდებელი დემაგოგიით გავეშებული ზემოხსენებული ავგოგია შემოგხვდა?

**მან ხომ ისეთი დამანოკაუტებელი დარტყმა იცის, მიმიქარავს ის მუშტი, ამას წინათ თამარაშვილის ქუჩაზე, ქართულ-ფრანგულ რესტორანში რომ მოგხვდათ შენც და რამდენიმე შენნაირსაც.**

**ასე რომ, თუ ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის ერთ ფრთიან ფრაზას ერთგვარად გადავაკეთებთ, ჭკუით და ფრთხილად, თავგასულო გნაცმოძრაობელნო!**

**თქვენეული დემაგოგია-ცილისწამებით კიდევ უფრო ნუ გაამწარებთ და გააღიზიანებთ ისედაც გაბოროტებულ ხალხს, რომლისაც, მერწმუნეთ, უფრო უნდა გეშინოდეთ, ვიდრე ხელისუფლება-მართმსაჯულებისა!**

**მე კიდევ ერთხელ გამიფრთხილებიხართ და...**

**რუსლან რუსია**

# მიკვლეულია ფარული ვიდეომასალების არქივი

**სასჯელაღსრულების სამინისტრომ და პროკურატურამ საპატიმროებში გადაღებული ფარული ვიდეომასალების არქივის ნაწილს მიაკვლიეს.** ამის შესახებ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა გუშინ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, გადამალული არქივის მცირე ნაწილი ერთი კვირის წინათ იპოვეს.

სოზარ სუბარის თქმით, ეს მასალები პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებებს დაერთო.

ბუნება მბრძანებელია!..

# ახალი სტიქია კახეთში

**თვეში ერთხელ კახეთს ძლიერი სტიქია უტევს. აპრილში თელავის რაიონის სოფლები დაისეტყვა, ახლა კი გურჯაანის 4 სოფელში მოსავალი პირწმინდად განადგურდა. ცუდი ისაა, რომ ძლიერი წვიმები კახეთში კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება.**

14 მაისს კახეთის რამდენიმე სოფელში მოსულმა ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ ვენახები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გურჯაანის რაიონის ოთხ სოფელში სრულად გაანადგურა. სტიქიამ ვეჯინს, კოლაგს, ბაკურციხესა და კარდენახს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. ბაკურციხის მოსახლეობა ადასტურებს, რომ გაანადგურებულია ხეხილის ბაღები, ბოსტანი და ვენახი.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის ჯონი ოსიაშვილის ინფორმაციით, ხეხილისა და ვენახის 100% განადგურებულია. აღნიშნული მუნიციპალიტეტის ოთხივე სოფელში. დატბორილია გზები, საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები, გართულებულია გადაადგილება სოფლებს შორის. ჯერჯერობით, არ არის დადგენილი სტიქიის სრული მასშტაბი, რადგან ზოგიერთ სოფელთან ჭირს დაკავშირება ინფრასტრუქტურის მოშლის გამო.

კახეთის გუბერნატორის მოადგილე გიორგი ბოტკოველი რამდენიმე დაზარალებულ ოჯახში მივიდა და ვითარებას ადგილზე გაეცნო.

**„სტიქიის მასშტაბები არ ჩამოუვარდება 2012 წლის 19 ივლისის სტიქიას. ცენტრალური ხელისუფლების გარეშე წარმოუდგენილია დაზარალებული მოსახლეობის დახმარება“,** — აღნიშნა გიორგი ბოტკოველმა.

განსაკუთრებით სოფელი კოლაგი დაზარალდა. სტიქიის შედეგად ატმის ბაღები, ვენახები და ბოსტნეული თითქმის მთლიანად განადგურდა. დაზიანდა გზები. კოლაგის ხევიდან გადმოვარდნილმა წყალმა ათეულობით სახლი და ეზო დატბორა. 10 ათასამდე აბონენტს არ მიეწოდება ელექტროენერგია.

წვიმისგან გამოწვეულმა ნიაღვარმა სოფლებში ათეულობით სახლის პირველი სართული და სარდაფები დატბორა, სადაც სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობს და წყალს ტუმბავენ. სოფლებს ელექტორენერგია არ მიეწოდება. სტიქია იმდენად ძლიერი და მასშტაბური იყო, რომ საავტომობილო გზაზე მოძრაობა შეუძლებელი გახდა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, ძლიერი კოკისპირული წვიმისა და სეტყვის შედეგად, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომოილო გზის ჩალაუბანი-ბაკურციხის (ბარჯისხევი) და ბაკურციხე-კარდენახის (კარდენახი) მონაკვეთზე, ასევე, ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის სოფელ კოლაგში საუბნე გზებიდან გზის სავალ ნაწილზე ჩამოიშალა ქვა-ღორღი, რის გამოც სოფელ კოლაგში და კარდენახში დროებით ჩაიკეტა მოძრაობა, ხოლო ბარჯისხევში დროებით შეფერხდა.

**„საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკის მობილიზების შედეგად შესაძლებელი გახდა, დროულად აღმოფხვრილიყო სტიქიის მიერ გამოწვეული ინფრასტრუქტურული პრობლემები. ამ დროისთვის საავტომობილო გზა გახსნილია და მოძრაობა სრულად არის აღდგენილი“,** — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.



ჯერჯერობით დადგენილი არ არის ზარალის საერთო ოდენობა. აქამდე არაფერია ცნობილი ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მოსახლეობისადმი დახმარების შესახებ.

**ეკა ბაქრაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# რეგიონალიზმი და თვითმმართველობა

**რეგიონალიზმი აყალიბებს სახელმწიფოს სხეულს, მის ფორმას. ხოლო თვითმმართველობა ამ სხეულს ანიჭებს სიცოცხლეს, რაც ეფექტიანი მმართველობის შინაარსში გამოიხატება.**

საქართველოში რეგიონალიზმის იდეის გააქტიურება და თვითმმართველობის სისტემის დამკვიდრებისკენ სწრაფვა ის სტრატეგიული მიზანია, რაც თვისობრივად გვაახლოვებს დემოკრატიულ მსოფლიოსთან და შესაძლებელს ხდის გაიზარდოს სახელმწიფოს მართვის ეფექტიანობის ხარისხი. ეს არის ფუნდამენტური რეფორმის დასაწყისი, რომელიც არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფო მოწყობის სტრატეგიულ მოდელს და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პერსპექტივებს.

**— რეგიონალიზმისა და თვითმმართველობის იდეის ინიცირება რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს მოიცავს და ააქტიურებს. ესაა:**

**— მართვის ტერიტორიული სტრუქტურების გაჯანსაღება და ტერიტორიული სისტემების გააქტიურება;**

**— უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების დეცენტრალიზაცია;**

**— რეგიონებში რეალური თვითმმართველობის მიღწევა და დამკვიდრება;**

**— რეგიონების (და ქვეყნის) ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;**

როგორც შედეგი: ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება.

რეგიონალურ ასპექტში, სახელმწიფოს მშენებლობის ეს ფუძემდებლური პრიორიტეტები, ისტორიულად, საქართველოში დღემდე საგნობრივად, მეცნიერულად არ განხილულა და ამ პრობლემისადმი, ქართულ წიაღში ჩასახული ეროვნული პოლიტიკური ნება რეალურად არ დაფიქსირებულა. ამდენად, საქმე გვაქვს საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი რეფორმის დაწყებასთან.

რაში მდგომარეობს სახელმწიფოს მოწყობაში რეგიონალიზმის ფუნდამენტური ფორმის მნიშვნელობა და როგორ განსაზღვრავს ის თვითმმართველობის შინაარსს?

ფორმულა ასეთია: რეგიონალიზმი აყალიბებს სახელმწიფოს სხეულს, მის ფორმას. ხოლო თვითმმართველობა ამ სხეულს ანიჭებს სიცოცხლეს, რაც ეფექტიანი მმართველობის შინაარსში გამოიხატება. ის მთელ სახელმწიფოზე აისახება. დემოკრატიული მსოფლიოს უმთავრესი მოთხოვნა და მოლოდინი ჩვენი ქვეყნის და ახალი ხელისუფლების მიმართ, სწორედ ეფექტიანი მმართველობაა.

რა გვაქვს დღეს, რითი ვიწყებთ?! ე. წ. დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სამთავრობო დოკუმენტი პრინციპების დონეზეა შემუშავებული და ის მოქმედების სტრატეგიას განსაზღვრავს მხოლოდ 2013-2014 წლებისათვის. ასეთი გლობალური რეფორმა კი დროში განვრცობადი იქნება. მაგრამ არ არსებობს თავად სტრატეგიის განმსაზღვრელი, რეფორმის მთლიანი ციკლის მომცველი ძირითადი კონცეფცია მომდევნო 5-10 წლისთვის. ეს თითქოს პარადოქსული გარემოება მე ბუნებრივად და გასაგებად მიმაჩნია. ფუძემდებლური კონცეფციის შემუშავებას თანმიმდევრული, აუჩქარებელი მეცნიერული კვლევა და შესაბამისი დრო სჭირდება. პრინციპების და აზრის ჩამოყალიბებას კი სურვილი, ნება და მონდომება განაპირობებს. დროს ვერც შევანელებთ და ვერც დავაჩქარებთ. ამდენად, ჩვენ ვერ ვხედავთ მიზნის განმსაზღვრელ ერთიან სურათს, მაგრამ ვიცით რა გვინდა ზოგადად, ფრაგმენტულად. ასეთი წერტილოვან-ფრაგმენტული რეფორმის დაწყება მხოლოდ დროის დეფიციტით და საკითხის აქტუალობით შეიძლება იყოს განპირობებული, რაც მთავრობაში ჯანსაღი აზრის, პოლიტიკური ნების არსებობას ადასტურებს. მეორე საკითხია, გვაქვს თუ არა საამისოდ პოტენციალი, პროფესიული ბაზა და საკადრო რესურსი ზოგადად. რამდენად ადეკვატურად ვიწყებთ რეფორმას, რამდენად ვაცნობიერებთ საკითხის მნიშვნელობას?!

ამ უმნიშვნელოვანეს თემას უფრო მეტად ჩავუღრმავდეთ. წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი რეფორმის პროცესში და დროის ფაქტორის წნეხის ქვეშ, რაც რეფორმის ავტორს — საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უდიდეს პასუხისმგებლობას, გლობალურ ფუნქციას და სახელმწიფო აპარატში წამყვან როლს ანიჭებს. პრობლემა მართლაც მასშტაბურია. ასეთ ვითარებაში, საქმე რომ გამოგივიდეს, ეს საქმე უნდა გიყვარდეს. უფრო მეტიც — გაცნობიერებული უნდა გქონდეს, რომ შენ გიყვარს შენი სახელმწიფო და ამ სახელმწიფოს აშენება შენი საქმეა.

რა უნდა ვიცოდეთ ჩვენი ისტორიული გამოცდილებიდან და რა უნდა ვისწავლოთ დემოკრატიული ევროპისგან?! აქ მცირე სალექციო ექსკურსს შემოგთავაზებთ.

რეგიონული მოდელირება სახელმწიფოს მოწყობის და მშენებლობის ერთ-ერთი საფუძველია, ისევე, როგორც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის მოდელი. ეს, ამასთან, საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ ფორმაციის განმსაზღვრელი ძირითადი ქვაკუთხედია. აღსანიშნავია, რომ რეგიონალიზმის იდეა, მისი თეორია და პრაქტიკა მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს და ის თავად არის ცალკე აღებული მეცნიერება — რეგიონთმცოდნეობა.

**რეგიონთმცოდნეობა** — მეცნიერული ცოდნის სრულიად ახალი დარგია, რომლის განვითარებაც მსოფლიოში XX საუკუნის ბოლოს დაიწყო. ზოგიერთ ქვეყანაში ის მხოლოდ ბოლო 10 წლის მანძილზე განვითარდა (რუსეთი, პოსტსაბჭოთა ქვეყნები).

საქართველოში რეგიონთმცოდნეობა, როგორც კვლევის საგანი, ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან და ამ კვლევის ერთ-ერთი ცენტრი ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის ს/კ ინსტიტუტში შეიქმნა. თუმცა, ამ ინსტიტუტში რეგიონალიზმის ცალკეული ასპექტების კვლევა ადრეული წლებიდანაც მიმდინარეობდა. ამ ახალი მეცნიერების კვლევის ძირითად სფეროს წარმოადგენს **ეკონომიკური განვითარების ტერიტორიული ორგანიზაცია, საწარმოო ძალების ოპტიმალური განლაგება, ეკონომიკის რეგიონული სტრუქტურიზაცია, ქვეყნის დარაიონება, ადმინისტრაციული რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების შემუშავება, სამეურნეო პრიორიტეტების განსაზღვრა და ეკონომიკის რეგიონული სტრუქტურის სხვა ასპექტების შესწავლა.** კვლევის ეს სფეროები უშუალოდ უკავშირდება მოსახლეობის განსახლებას, შრომითი რესურსების და ბუნებრივი რესურსების დახასიათებას, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სამეურნეო კომპლექსების შექმნა-მოდელირებას და სხვ.

ამდენად, რეგიონთმცოდნეობა სამეცნიერო ცოდნის ის სფეროა, რომელიც ქვეყნის **მართვისა და ეკონომიკური განვითარების ტერიტორიულ ორგანიზაციას** შეისწავლის, მის მომცველ ყველა ასპექტთან ერთად. არსებულ ვითარებაში, მოსალოდნელი რეფორმის კონტექსტში, ტერიტორიულ ორგანიზაციაში უნდა ვიგულისხმოთ: რეგიონული მოწყობის ოპტიმიზაცია, რაიონში და რაიონთაშორის ეკონომიკური კავშირების დაზუსტება, ეკონომიკური რეფორმების კოორდინაცია, ეკონომიკური აქტივობების ხორცშესხმა, საფინანსო, შრომითი და საკადრო რესურსების მობილიზაცია და აქტიური ჩართულობა ქვეყნის მშენებლობაში, ეკონომიკური და ადმინისტრაციული რაიონების შესწავლა და მათი ტრანსფორმაცია, რაიონების (მხარეების) სამეურნეო პროპორციების რაციონალიზაცია. რეგიონთმცოდნეობის კვლევის უშუალო საგანია ყველა დონის ეკონომიკური რაიონი — მცირე და დიდი ეკონომიკური რაიონი ან ზონა, სამრეწველო ცენტრი, აგლომერაცია, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კომპლექსი, თავისუფალი ეკონომიკური ზონა.

რა განაპირობებს რეგიონალიზმის ფორმას და შინაარსს?! ქვეყნის რეგიონული მოდელირება თვითგანვითარებადი ფენომენია. ტრადიციული კულტურის და განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში რეგიონული მოწყობა ეროვნულ კულტურასთან ერთად ვითარდებოდა და ასწლეულების მანძილზე ქვეყნის ეროვნული თავისებურებების კვალობაზე ფორმირდებოდა, როგორც ერის ხასიათის განმსაზღვრელი ნიშანი.

რეგიონული მოდელის ამა თუ იმ ფორმის ბუნებრივი თვითდამკვიდრება სახელმწიფოს მართვის შესაძლებლობას განაპირობებს. შეუძლებელია ქვეყნის მართვა მხოლოდ ერთი ცენტრალური სტრუქტურით — ვერტიკალურად, ერთმმართველობით. ალტერნატივა რეგიონული თვითმმართველობაა. განვითარებული დემოკრატიისა და თავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებში თავისთავად წარმოიშობა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური დეცენტრალიზაციის საჭიროება, რაც ეფექტიანს და ბუნებრივთან მიახლოებულს ხდის ზოგადად მმართველობას და შესაბამისად, იძლევა განვითარების შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მმართველობის სისტემა იქნება არაბუნებრივი, არადემოკრატიული და არაეფექტური, რომლის მაგალითებსაც თანამედროვე მსოფლიო კარგად იცნობს.

ამდენად, ვფიქრობ, უდავოა სახელმწიფოს ეფექტიანი მმართველობის ის მთავარი პრინციპი, რომ ქვეყნის განვითარების პოტენციალი თვითონ შობს მისთვის ორგანულ და ბუნებრივ რეგიონული მმართველობის მოდელს, რაც ამა თუ იმ ეტაპზე ამ ქვეყნის სპეციფიკურ მდგომარეობას ასახავს და ამდენად, მისი კულტურის შემადგენელი ნაწილი ხდება. გამომდინარე აქედან, რეგიონული მოწყობისა და მართვის ამა თუ იმ „აპრობირებული“ მოდელის ხელოვნური გადმოღება სხვა ქვეყნისგან, არაბუნებრივი, უცხო და არაეფექტური იქნება.

საქართველოში ფეოდალური მოწყობის რეგიონალიზმი განუვითარებელ მოდელად დარჩა. ფეოდალური საქართველოდან დღევანდელ — ახალი დემოკრატიის ქვეყნამდე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო და მისი ბუნებრივი განვითარება ამ მხრივ არ მომხდარა. ამიტომ, ჩვენი მიზანი უნდა იყოს აღნიშნული ვაკუუმის შევსება, 200-წლიანი შესაძლო ისტორიული განვითარების მოდელირება და ამ კვლევის შემდეგ შესაბამისი დასკვნების გაკეთება. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი რეგიონული მოწყობის კონცეფციის შემუშავება და რეფორმის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა.

რა გვაქვს დღეს? რა გვინდა? და რას ვაკეთებთ?

დღეს ჩვენ გვაქვს დროის, როგორც სახელმწიფოს თავისუფალი განვითარების შესაძლო ფაქტორის დანაკარგი და მისი დეფიციტი. გვაქვს განუვითარებელი, დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის არაოპტიმალური რეგიონული დაყოფის და თვითმმართველობის სისტემა, რომელიც ძირითადად საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა. ამასთან, ვიცით რა გვინდა - გვაქვს დემოკრატიული მმართველობის და რეგიონების დონეზე თვითმმართველობის რეალური დამკვიდრების სურვილი და პოლიტიკური ნება. რას ვაკეთებთ? — ვდგამთ პირველ ნაბიჯებს პრინციპების დონეზე და ვხელმძღვანელობთ თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მოთხოვნებით, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ კონცეფციას და თვითმმართველობის უმთავრეს პრინციპებს. როგორია რეალობა? - თუნდაც „უმთავრეს ევროპულ პრინციპებზე“ დაყრდნობით, შიგაეროვნული ძალისხმევის და მეცნიერულად დასაბუთებული კვლევის შედეგის — ქართული სახელმწიფოსთვის ორგანული რეგიონალური მოდელის გარეშე ეფექტიანი თვითმმართველობა ვერ განხორციელდება. დღემდე, არანაირი თვითმმართველობის სისტემა საქართველოში არ მოქმედებდა. ის არ მოქმედებდა ადგილობრივი საბჭოების ფორმით სოციალისტური სისტემის დროს და არც დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო 20 წლის მანძილზე.

მაგრამ, ვიყოთ ოპტიმისტები. მხოლოდ მისასალმებელია, რომ ხელისუფლება რეალურად და ობიექტურად (გაცნობიერებული აუცილებლობის შეგნებით) დაინტერესდა ეფექტიანი რეგიონული თვითმმართველობის იდეით, როგორც დემოკრატიული განვითარების წინაპირობით და ამ იდეის იმპლემენტაციით. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ეს არის პირველი ფუძემდებლური ნაბიჯი და ყველა შემდგომი რეფორმის საფუძველი, თუ გვსურს, რომ სისტემამ იმუშაოს ეფექტიანად და ლაღად. ამ მიმართულებით ეს პირველი ნაბიჯიც კი, სწორი სამოქმედო რუკის შექმნით, ადამიანებისთვის იქნება სტიმული და გარანტია თვითშემოქმედებისთვის ყველა დონის რეგიონულ სისტემაში. აქ მხოლოდ რეფორმის ცალკეული ეტაპების თანმიმდევრულ ამოქმედებაზე შეიძლება აქცენტების გამახვილება, რაც ერთიან სტრატეგიულ ჩარჩოში მის პროგრამულ გაწერაში აისახება.

**რეფორმამ უნდა უზრუნველყოს არა ევროპული მოდელის მყისიერი, მექანიკური დანერგვა ქართულ სინამდვილეში, არამედ არსებული მოდელის ტრანსფორმაცია და დაახლოება ევროპულ თვითმმართველობებთან. ეს უნდა იყოს მოძრაობა ევროპული გამოცდილებისკენ საკუთარი ენერგიით და ამ ენერგიის შესატყვისი სიჩქარით.**

**უნდა გვახსოვდეს, რომ ჯანსაღი თვითმმართველობა დემოკრატიის არა მხოლოდ შემადგენელი ნაწილი, არამედ მისი მწვერვალია.**

**ნუკრი მიხანაშვილი**

**ინტერნეტიდან**

# „კალიგულამ ცხენი მაინც აირჩია, მიშამ კი ვირებით გაავსო ჩვენი პარლამენტი“!



*საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ საპრეზიდენტო კანდიდატის არჩევნებამდე შეცვლას არ გამორიცხავს. მისი განცხადებით, პრემიერი ხშირად იცვლის აზრებს. პრეზიდენტმა მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელების კომენტირებისას, ნერონის ცხენი გაიხსენა. იმ დღესვე სააკაშვილის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გაჩნდა განმარტება: „მომიტევეთ, თუ რომის იმპერატორის ცხენზე საუბრისას უნებლიეთ ნერონის სახელი წამომცდა კალიგულას ნაცვლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ლაფსუსზე მეტად შინაარსია გადამწყვეტი და სრულიად არ მახარებს ამ მაგალითის ჩვენი ქვეყნის კონტექსტთან დაკავშირება. მაინც ღრმად მწამს, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება“, — აღნიშნულია პრეზიდენტის განცხადებაში.*

*ამ თემაზე ინტერნეტში კომენტარებმა არ დააყოვნა:*

- **„არა უშავს! შენ ორბელიანი და რუსთაველიც გერევა ერთმანეთში! გაზაფხულის მოყვანაც გერევა... და კონსული და სენატორიც გერევა ერთმანეთში “...**
- **„არა გრცხვენია? მარგველაშვილს ედრები? თუმცა, სირცხვილი რომ გაწუხებდეს, ვადას კი არ გაიზრდიდი, გადადგებოდი — ვადაგასულოო. გნა-გნა!**
- **დიდი ამბავი იმპერატორები თუ აერია. „ვეფხისტყაოსნის“ შესავალიც კი არ იცის.**
- **„რა მნიშვნელობა აქვს, ცხენი, კალიგულამ შეიყვანა, ნერონმა თუ სულამ, მთავარია, რომ ანალოგია არის ძალიან ზუსტი, ჩვენდა სამწუხაროდ“...**
- **„ნამდვილად მოულოდნელი კანდიდატურაა ნაცსექტისთვის მარგველაშვილი. როგორც ჩანს, მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ისინი ელოდნენ სულ სხვას (არ დავასახელებ ვის). აშკარად შოკში არიან. ესე იგი საქმე კარგად მიდის“!**
- **„ბიჭოოოოო!!! შენ მართლაც შახმატის ცხენო ჰაა!!! ცხენების დოღი გქონდა პარლამენტში 9 წელი და არ შეწუხებულხარ“!!**
- **„დაჯექი მიშა, ორიანი“...**

იხ. 5 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# 17 მაისს რუსთაველზე დაგეგმილი აქციის ორგანიზატორებად გიგა ბოკერიას და ვანო მერაბიშვილსაც მოიაზრებენ

**ყოფილმა** პატიმარმა გიორგი გაბედავამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 17 მაისს, რუსთაველზე, 13:00 საათზე იმართება აქცია ჰომოფობიის წინააღმდეგ და მას არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა" ატარებს.

**„თითქოს 17 მაისს იმართება უფლებადაცვითი აქცია, სინამდვილეში ეს არის პროპაგანდისტული ხასიათის აქცია, მიდის გარყვნილობის პროპაგანდა, ეს არის პირდაპირი დარტყმა ჩვენს ზნეობაზე და მიმართულია ჩვენი თვითმყოფადობის განადგურებისაკენ. მე, როგორც ყოფილი პატიმარი და ამ საქმის გამო ერთხელ უკვე დაკავებული, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ არც ციხის მეშინია და არც რეპრესიის, ერთხელ უკვე ამის გამო მოვიხადე სასჯელი და კიდევ შემიძლია ციხეში ჩავჯდე. მე თუ ზნეობა არ მექნება, ასეთი თავისუფლება არ მინდა. 17 მაისს ჩვენ მათ რუსთაველზე არ გავატარებთ, რადგან ეს არის ჩვენი შეურაცხყოფა. მათ უნდათ ფლეშმობის მოწყობა, მაგრამ სინამდვილეში ეს არის გეიპარადის მოწყობის მცდელობა",** — განაცხადა გიორგი გაბედავამ.



„პირველი რადიოს"„რადიოკლუბში, მოძრაობა „ეროვნულების"ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ განაცხადა, რომ 17 მაისს რუსთაველზე დაგეგმილი აქციის ორგანიზატორები გიგა ბოკერია და ვანო მერაბიშვილიც არიან.

ბრეგაძის ინფორმაციით, აქციის ორგანიზატორები კონსულტაციებს ნაციონალურ მოძრაობაში გადიან.

**„იდენტობას ინსტრუქტაჟს უტარებენ, რომ რუსთაველზე პროვოკაცია მოხდეს, ეს ნაციონალებს აწყობთ, მათ ლობირებს თავისუფლების ინსტიტუტი, ბოკერია და მერაბიშვილი. ადგილიც სპეციალურად შეარჩიეს — ქაშუეთის ეკლესიასთან და 9 აპრილის მემორიალთან. წმინდა ადგილზე ასეთი აქციები არსად არ ტარდება, შეკრებილიყვნენ მაგალითად ვაკის პარკში და წინააღმდეგი არავინ იქნებოდა, მე ძალადობას ვგმობ, მაგრამ ფაქტია, რომ იდენტობას არეულობა და დიდი გრანტების მიღება უნდა",** — განაცხადა ბრეგაძემ News plus-თან საუბარში.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დარწმუნებულია, რომ 17 მაისს დაგეგმილ ლგბტ პირების აქციის ჩატარებას ქართველი ხალხი არ დაუშვებს, რადგან ეს **„ჩვენი ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა", — ამის შესახებ შევარდნაძემ გაზეთ „ასავალ-დასავალთან" ინტერვიუში განაცხადა. შევარდნაძის განცხადებით, ეს ტრადიციების წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლაა. „გეია თუ რაღაც ჯანდაბა, გასაგებია, რომ მსოფლიოში მათ მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ ეს საქართველოა და მე, როგორც რიგით ქართველს, არ მინდა რუსთაველზე მათი აღლუმი ვნახო. არ მეგონა თუ ოდესმე საქართველოში ამაზე მოგვიწევდა საუბარი. რა უბედურებაა, ველარ გაგვირჩევია, ვინ კაცია და ვინ ქალი. გეი-აღლუმები საქართველოში ვერ გაიმართება",** — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. ექს-პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ დაგეგმილი აქცია წახალისებული პროვოკაციაა, რადგან იციან, რომ რუსთაველზე მათ საზეიმო ჩავლას ქართველი მშვიდად ვერ დააკვირდება.

**ნატა ნიბლაძე**

---

**აქII ვამბობდი წინა წერილში, სადაც ნაძალადევის შუალედური არჩევნების შედეგით გაწბილებული ვწერდი, ჯერ სადა ვართ-მეთქი და აჰა — ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წინა დღეებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ" 17 მაისისთვის სექსუალურ უმცირესობათა, ანუ, როგორც ჩვენში მარტივად ვშიფრავთ ლგბტ-ს ჩახლართულ აბრევიატურას, პედერასტების აღლუმი დაგვიანონსა!**

ვინ არის ეს ე.წ. „იდენტობა", რა უნდათ პედერასტებს, რა პარადები აუტყდათ, რას ითხოვენ, რატომ მაინც და მაინც 17 მაისი? და ა.შ. კითხვების დასმა კიდევ შეიძლება, რომელთაც ქვემოთ შევეცდები პასუხები გავცე...

გახსოვთ, ალბათ, რომ შარშანაც, 17 მაისს სცადეს საქართველოს ისტორიაში პირველი გეიპარადის ჩატარება. თუმცა, რაღა სცადეს? მცირე შეხლა-შემოხლას თუ არ ჩავთვლით, რომლის არცთუ პასიური მოწმე მეც გახლდით, საწადელს მაინც მიაღწიეს ქართველმა პედერასტებმა. მართალია, ბოლომდე ვერ ჩაიაღლუმეს რუსთაველის პროსპექტი და ზემელზე დავამუხრუჭეთ, მაგრამ საერთაშორისო ყურადღება მაინც მიიქციეს — ჯერ ამერიკის ელჩმა დაგმო ქართველი საზოგადოების ხელისშეშლა პარადისადმი, იმავე საღამოს ევრონიუსის ეთერითაც გადაიცა პედერასტების „დარბევის" კადრები და მეორე დღეს კი, ქართველ პედერასტებთან სოლიდარობის ნიშნად თბილისში აკრედიტებული მთელი „დემოკრატიული" დასავლეთის დიპკორპუსი გამოვიდა პარლამენტის შენობის წინ. იმ მოედანზე, რომელზეც თითქმის ზუსტად ერთი წლის წინათ 26 მაისს მშვიდობიანი ქართველი დემონსტრანტების სისხლი დაღვარა სააკაშვილის ფაშისტურმა რეჟიმმა, მაგრამ იმავე დასავლეთს კრინტიც არ დაუძრავს!..

ახლა კი, პირველი გეიპარადის წლისთავზე ახალი ის გავიგე, რომ 17 მაისი ჰომოფობიასთან ბრძოლის მსოფლიო დღე ყოფილა და პედერასტების პარადიც ამ „ქოლგის ქვეშ" უნდა გაიმართოს!

კი მაგრამ რატომ, ჰომოფობია ხომ ადამიანების სიძულვილს, უფრო ზუსტად კი კაცთმოძულეობას ნიშნავს და ე.ი. რა, ვისთვისაც პედერასტობა მიუღებელია, ის კაცთმოძულეა?

ჰოდა, მივადექით ზემოთ დასმულ კითხვას, რა უნდათ, რის გაპროტესტებას აპირებენ ქართველი პედერასტები?

რა და ერთადერთი ლიბერალობა ქართველი საზოგადოებისა სოდომ-გომორის თანამედროვე აქტიორთა მიმართ ისაა, რომ უკაცრავი პასუხია და ფეხებზე გვკიდია ეს ბინძური გარყვნილები, ხატოვნად თუ ვიტყვით, ვინ დედალია და ვინ მამალი. — თავშიც ქვა უხლიათ, ჩვენ მაგათ „სპალნაში" არ ვუვარდებით!

მაგრამ არა, საზოგადოების ასეთი ლოიალობა აღარ აკმაყოფილებთ, უნდათ, რომ გვერდში მოვისვათ, მათთან პური გავტეხოთ და ვახტანგურად დავლიოთ. ერთი სიტყვით, ეს ღვთისპირიდან გადავარდნილები სიყვარულსა და პატივისცემას ითხოვენ ჩვენგან!

ასეთი რამ გაგონილა? შენ თუ უფლება გაქვს, მურდალი კურტუმო როგორც გინდა, აქნიო, მე იმის უფლება აღარა მაქვს, რომ ეს ბინძური ხალხი მეზიზღებოდეს? სიყვარული არ იქნება ძალადაო, ლამაზ ქალვაჟზე უთქვამს ქართველ კაცს და პედერასტობა, რაც რელიგიურადაც ცოდვაა, ძალით გინდათ შეგვაყვაროთ?

თუმცა, ცოდვაც არის და ცოდვაც — სულ ახლახან გავიგე, რომ მართლმადიდებლური სწავლებით, წმინდა ბასილი დიდის მიხედვით, ყველაზე დიდი ცოდვა ზოოფილია, ანუ ადამიანის ცხოველებთან სქესობრივი კავშირი, მეორე ადგილზე ჰომოსექსუალიზმი, რომლის მიტევება 25-წლიანი სასჯელის შემდეგ ყოფილა შესაძლებელი და მხოლოდ ამის შემდეგ მოდის მკვლელობა, რომელსაც 15 წელი მუხლებზე ხოხვა სჭირდება მისატევებლად!

გაიგეთ, ხალხო, რას უპირებენ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს და 100 ათასი მოწამის თბილისს? ამის მერეც მოუბრუნდებათ ენა „თავისუფლების ინსტიტუტის" ფესვებზე ამონაყარ ყლორტებს, ე.წ. არასამთავრობოებს ადამიანის უფლებებზე და ჰომოფობიაზე?

მოუბრუნდებათ და მეტი არა? „იდენტობა" იქნება თუ სხვა, ისინი, როგორც წესი, დასავლეთიდან, ძირითადად კი აშშ-დან ფინანსდებიან უხვად და რაც უფრო მაგრად გაგვალახინებენ (თუ ასეთი რამ მოხდა) თავს,

## საძულველზე სიყვარულით როგორ ვილაპარაკო!?



მით უფრო მსუყე ფინანსურ ინექციებს მიიღებენ, ანუ „იდენტობა" 17-ში, უკვე მიღებული გრანტების შედეგების დემონსტრირებას აპირებს დასავლელი პატრონების წინაშე — ეს არის და ეს, ბოლოს ყველაფერი მწვანე კუპიურებთან მიდის...

ან რაღა მაინც და მაინც „იდენტობა" დაირქვეს? რა და ესეც ერთგვარი ცინიზმია, რადგანაც ღმერთმა თავის დროზე განსაზღვრა ყველა სულიერის იდენტობა. მათ შორის კაცს კაცი, ხოლო ქალს ქალი უწოდა და ქორწინება თუ სექსიც მხოლოდ მათ შორის დაადგინა, ანუ 17 მაისის პედერასტები თავად ბუნების, გნებავთ, სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის წინააღმდეგ აპირებენ გეიპარადით გალაშქრებას, ანუ ის პარადი არა მხოლოდ მართლმადიდებლების, არამედ ყველა ტრადიციული, ბიბლიაზე აღმოცენებული რელიგიის შეურაცხყოფაა!

ბევრი რამ მოხდა ამ ხნის მანძილზე პოლიტიზებულ საქართველოში. თუნდაც პრეზიდენტობის კანდიდატების დასახელება, ან გნებავთ შს მინისტრის პირველი მოადგილის დაპატიმრება, მაგრამ წინამდებარე წერილის თემა ვერაფერმა გადაფარა. სოციალური ქსელი მხოლოდ მოსალოდნელ პარადს განიხილავს და აბსოლუტური უმრავლესობით მხოლოდ — უარყოფითად.

ამავე კონტექსტში ჯდება იმ უბედური გიორგი ფარესიშვილის „პირადი ცხოვრების" ამსახველი კადრების გამოქვეყნებაც. რა მაქვს მხედველობაში? რა და ის, რომ უკლებლივ ყველა ტელევიზიაში მხოლოდ იმ კუთხით განიხილებოდა ეს თემა, მხოლოდ იმაზე იყო საუბარი, როგორ შეიძლება „პირადი ცხოვრების" გადაღება და არც ერთი სიტყვა ასეთი ცხოვრების სიმახინჯეზე!

ირაკლი ღარიბაშვილმა საკუთარი მოადგილის დაპატიმრებით ხომ ისიც დაადასტურა, რომ ის კადრები ნამდვილია?! — აქ ჩემს პოზიციას ამ მიმართებით არ დავაფიქსირებ, თუნდაც იმიტომ, რომ სხვა რამის თქმა მინდა...

იმ ტელედებატებში, ამ მართლაც ამაზრზენი კადრებით, თითქოს მოსალოდნელი გეიპარადის ლეგიტიმაციას ცდილობდნენ, ანუ რა მოხდა მერე, პირადი ცხოვრებაა და მეტი არაფერი, პედერასტობაც ისეთივე ნორმალურია, როგორც ტრადიციული სექსუალური ორიენტაცია, დროა, საქართველოშიც დავამარცხოთ ჰომოფობია, თორემ რას იტყვის ევროპა და ნატო და ა.შ.

არა, ბატონო, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პირად ცხოვრებაში თავშიც ქვა უხლიათ, მაგრამ, როდესაც პარადებს მიწყობ, ეს უკვე აღარ არის პირადი. უფრო მეტიც, ეს ჩემს პირად ცხოვრებაში ჩარევა, გნებავთ, ჩემი და ჩემი შვილიშვილების უფლებების დარღვევაა!

შარშანდელი 17 მაისი კი გავიხსენე, მაგრამ იმაზე არაფერი მითქვამს, როგორ „დაუზასა" ერთმანეთს ორმა ამერიკელმა პედერასტმა (ქართველი „ქათმების" საპატიო სტუმრებმა) იმ პლაკატის ფონზე, რომელზედაც ეწერა — „ბედნიერება ფერადია, შენც გაფერადდი"! რასაც 51-ე სკოლის მოსწავლეები უყურებდნენ...

არ არის ეს ჩვენი შვილების დღისით, მზისით გარყვნა და პედერასტობის პროპაგანდა?

ბოლოს შენი ნებართვით მკითხველო, მინდა, ისევ მეფე ერეკლეს სიტყვებით დავამთავრო, რომელიც ერთხელ უკვე გამოვიყენე ამ თემაზე წერისას. კიდევ ერთხელ, რადგან ყოველივე ზემოთქმულსაც და ართქმულსაც პატარა კახის ეს სიტყვები ჯობია...

კანონიკურ ეპისტოლეთაგან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა, კათალიკოს ანტონ პირველისა, რომელიც გამოუცია მეფე ერეკლე II ნებართვით, 1767 წელს. ეს ეპისტოლე შეიცავს 15 მუხლს, მაგრამ აქ საინტერესოა მეფის დართული სიტყვები:

**„ჩვენ, ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნებაყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლეხთა: ღვთის მოწყალებით ამას ზედა დიაღ გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთისგანმარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენს ხალხს მაინც ვაფრთხილებთ: თუ ვინმე ამისთანა საქმის მქმნელი გამოჩნდეს, ან მომწამლენი, ან კაცის შემკრელნი, ან სიყვარულის და სიძულვილის წამლის მიმცემნი, ან ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებლისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით (ჯაჯა — ტანჯვა-წამება — დ. მ.) დაიხოცნენ!**

**ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ"...**

სხვათა შორის, ანუ ზემოთ ჩემი ბჟუტურისგან განსხვავებით, ეს ისტორიული დოკუმენტია და სანამ სიძულვილის ენით საუბარში დამდებენ მავანნი ბრალს, პატარა კახსაც იგივე შეჰბედონ.

თუ ამას ვერ გაბედავენ, მაშინ ქართველმა პედერასტებმა, რომლებსაც პარადი მოსდომებიათ, ღმერთს (უფრო სწორედ სატანას) მადლობა უთხრან, რომ პატარა კახი 200 წლის მკვდარია. თორემ ხომ იცით, ერთი სიმღერისა არ იყოს — **მეფის სიტყვა კანონია, აღარ უნდა ლაილაი!..**

**დავით მხეიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# შეშა ჯოჯოხეთის ცეცხლისთვის

## საზოგადოება და ხელისუფლება სექსუალურ უმცირესობათა შესახებ

1 ოქტომბრის შემდეგ, გარდა სულმოკლე და სულსწრაფი ადამიანებისა, საზოგადოება მტკიცედ ინარჩუნებს იმედს, რომ 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები, როცა ქვეყანას მთავარი ქართველთმოძულე მოშორდება, საბოლოოდ მოიტანს მშვიდობას, აღადგენს სამართლიანობას და კულტურულ-ეკონომიკური აღორძინების გზებს გამოაჩენს. ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი, მისი განუზომელი დამსახურების გამო, ისე გულწრფელად შეიყვარა ქართველმა ხალხმა, რომ იგი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მიუღებელ თვალსაზრისს, რამდენადაც ისინი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით არიან დანიშნულნი, სერიოზულ ყურადღებასაც არ აქცევს. ჯერჯერობით მადლიერების გრძნობა კრიტიკულ გონებაზე მაღლა დგას და ეს, ჩვენი აზრით, არც არის ცუდი, მაგრამ თავი იჩინა კონკრეტულმა პრობლემამ, რომლის გადაწყვეტის საქმეში სამთავრობო თუ სამღვდელო დასის ზოგმა წევრმა ცუდად წარმოაჩინა თავი.

პირველ ყოვლისა, მინისტრმა, როგორც ძალაუფლებისა და დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე მოხელემ, უნდა იცოდეს, რომ ნებისმიერ საკითხზე, საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად, საკუთარი შეხედულების კატეგორიულად გამოხატვა ძალადობას გულისხმობს. ასევე, მას მოეთხოვება ხსოვნა იმისა, რომ იგი თანამდებობრივი ძალაუფლებით იმ ხალხმა აღჭურვა, რომელსაც მასზე მცირე დამსახურება არ მიუძღვის „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში. მას არ უნდა შეექმნას ილუზია, რომ ქვეყნის დოვლათის არათანაბრად გადანაწილების გამო უსაშველოდ დიფერენცირებული შრომის ფასი, ასევე მორალურ დიფერენციასაც ნიშნავს.

მოკლედ, ამ ცოდვიან დედამიწაზე ურცხვად გაამპარტავნებული ე. წ. სექსუალური უმცირესობები როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში საზოგადოებას პრობლემას უქმნიან. ისინი თავიანთი ცოდვის დემონსტრირებით, ანუ გამომწვევი მოქმედებით, არა მარტო მათი კასტის ლეგალიზებას, არამედ საზოგადოებისა და ხელისუფლების დაპირისპირებასაც ცდილობენ; ერთი მხრივ, საზოგადოებისა, რომელსაც მათი აღვირახსნილობა აცოფებს და, მეორე მხრივ, ხელისუფლებისა, რომელიც ვალდებულია, სანქცირებული ღონისძიების დროს დაიცვას მისი მონაწილენი, კერძოდ, მამათმავლები და ძმანი და დანი მათნი.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომლის ცხოვრების წესსა და კანონს უმრავლესობის ნება განსაზღვრავს, მაშინ აღნიშნულ უმცირესობებს რატომ ეძლევათ სანქცია მათი გარყვნილების საჯაროდ გამოხატვისთვის, ან რატომ არის უგულებელყოფილი ქართველი საზოგადოების ზნეობრივი პასუხისმგებლობა? — ეთიკური თვალსაზრისით, ჩვენ ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავთ პერსონიფიცირებულ მამათმავალთა მასობრივ მსვლელობასა და ქუჩაში დაუფარავად გამართულ ჰომოსექსუალურ აქტს შორის, ვინაიდან ორივე შემთხვევაში — ეს არის მომაკვდინებელი ცოდვის ოფიციალურად გამოხატვა და საზოგადოების იძულება არათუ მისი დაგმობის, არამედ ხელშეუხებლობისა და აღიარებისთვის.

ყველა ერი მისთვის დამახასიათებელი მორალური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს. გარეგნულად, ჩვენშიც აღიარებულია ქრისტიანული ღირებულებები, საყოველთაოდ პატივდებულია სახელები დიდი მოღვაწეების — ილიასი, ვაჟასი თუ იაკობისა. თუ შინაგანად არ ვიქნებით მიმდევარნი მათი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობისა, მაშინ რას უნდა დაეფუძნოს ჩვენი მომავალი? რა პასუხი უნდა გავცეთ შთამომავლობას?

მთავრობა თუ მამათმავლების თავის მოსაწონებლად „სიამაყის პარადების“ გამართვას დაუშვებს, მაშინ მან მეძავების, ლოთების, ანანისტების, ნარკომანებისა და ავაზაკების აღლუმებზეც უნდა იზრუნოს, რადგან უზნეობის დაკანონებით გამოდის, რომ იგი ჯოჯოხეთის ცეცხლისთვის „შეშას“ აგროვებს და მის მბრძანებელს ემორჩილება.

პავლე მოციქული კი გვაფრთხილებს: **„არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათმავალთა“ სასუფეველი ღმრთისა“ ვერ დაიმკვიდრონ“** (1 კორ. 6,9-10). ეს შეგონება პოლიტიკოსებმაც უნდა გაითვალისწინონ. წუთისოფელი ძალიან მოკლეა და არავინ იცის, შეგნებულად ჩადენილი ცოდვის მონანიებას და გამოსყიდვას მოასწრებს თუ ვერა.

ამორალური გვამებისთვის საძულველი მართლმადიდებელი ეკლესია, მართალია, ემორჩილება სახელმწიფო კანონებს, მაგრამ მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ მისგან ღმრთის მცნებათა საწინააღმდეგო საქმეს არ მოითხოვენ. ამიტომ არის ქრისტიანი ქვეყნის მარილი, დამცველი პატიოსნების და სარწმუნოებისა. იგი საზოგადოებრივ პრობლემებს ვერ განუდგება, მით უმეტეს, როცა საქმე თანამოქალაქეთა ღირსებისა და ეროვნული ტრადიციების შეურაცხყოფისგან დაცვას მოითხოვს. ვწუხვართ, რომ „ვარდოსანთა“ ჭირის მოცილების შემდეგ ისევ გვიხდება ამ თემაზე წერა, მაგრამ რა ვქნათ, ცოტანი ვართ, გაერთიანება და ერთმანეთის გამხნევება დროულად უნდა შევძლოთ. მთავარია არ შევდრკეთ და „ღიმილის ბიჭებად“ დავრჩეთ მარადის, თორემ რა მნიშვნელობა აქვს, გიორგისა თუ თემურის ხვედრი გვერგება.



ახლა კი შემოგთავაზებთ თარგმანს ამონარიდისა „სოციალური კონცეფციიდან“, რომელიც 2000 წელს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ოფიციალურ სახელმძღვანელო დოკუმენტად აღიარა.

**წმიდა წერილი და მოძღვრება ეკლესიისა ჰომოსექსუალურ სქესობრივ კავშირებს არაორაზროვნად გმობენ, ხედავენ რა მასში ღმრთივქმნილი კაცობრივი ბუნების ბიწიერ დამახინჯებას.**

**„რომელი დაწვეს წულისა თანა საწოლითა დედებრ, საძაგელი ქმნეს ორთავე“ (ლევ. 20,13). ბიბლია მოგვითხრობს მძიმე სასჯელზე, რომელიც ღმერთმა სოდომის მცხოვრებთ, წმიდა მამათა განმარტებით, სწორედ მამათმავლობის ცოდვისათვის შეამთხვია (შესქ. 19,1-29). პავლე მოციქული, ახასიათებს რა წარმართული სამყაროს ზნეობრივ მდგომარეობას, ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს ყველაზე უფრო „გინებულ“ და „უჯერო“ ვნებებს უწოდებს, რომელნიც მისცემენ „გინებად ჴორცთა მათთა“: „დედათა მათთა გარდაცვალეს ბუნებისა იგი წესი არა-ბუნებად. ეგრეთცა მამათა მათთა დაუტევეს ბუნებისა იგი წესი დედათაჲ, განჴურდეს გულის თქუმითა მათითა ურთიერთარს. მამანი მამათა თანა სარცხვინელსა იქმოდეს და კუალად-საგებელი იგი, რომელი ჯერ-არნ საცთურისა მათისაჲ, ურთიერთას მიიღიან“ (რომ. 1,26-27). „ნუ სცთებით... არცა ჩუკენთა, არცა მამათ-მავალთა... სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ“, — სწერდა მოციქული კორინთოს გარყვნილ მცხოვრებლებს (1 კორ. 6,9-10). წმიდა მამათა გადმოცემაც ასევე ცხადად და გარკვევით გმობს ჰომოსექსუალიზმის ნებისმიერ გამოვლენას. „თორმეტი მოციქულის სწავლება“, წმიდა მღვდელთმთავართა — ბასილი დიდის, იოვანე ოქროპირის, გრიგოლ ნოსელისა და ნეტარი ავგუსტინეს თხზულებანი, წმ. იოვანე მმარხველის კანონები ეკლესიის უცვლელ სწავლებას გამოხატავენ: ჰომოსექსუალური კავშირები ცოდვიანი არიან და დაგმობას ექვემდებარებიან. მათში ჩათრეულ ადამიანებს არა აქვთ უფლება ეკლესიის კრებულში ირიცხებოდნენ (ბასილი დიდის კან. 7, გრიგოლ ნოსელის კან. 4, იოვანე მმარხველის კან. 30). სოდომის ცოდვით შერცხვენილთ ღირსი მაქსიმე ბერძენი მიმართავდა: „შეიცანით თავნი თქვენნი, უბადრუკნო, როგორ ბილწ ტკბობასა ხართ მიცემულნი!.. ეცადეთ, მალე განეშოროთ თქვენს ამ უსაძაგლეს და უმყრალეს ტკბობას, და შეიძულოთ, ხოლო ვინც ამტკიცებს, რომ ეს ბოროტება არ არის, მაშინ იგი საუკუნო ანათემას გადაეცით, როგორც ქრისტე მაცხოვრის სახარების მოწინააღმდეგე და მისი მოძღვრების გამრყვნელი. თავი განიწმინდეთ გულწრფელი სინანულითა და მხურვალე ცრემლით, შეძლებისდაგვარი მოწყალებითა და წმინდა ლოცვით... მთელი თქვენი სულით მოიძაგეთ ეს უსჯულოება, რათა წყევისა და საუკუნო წარსაწყმედელის ძეებად არ იქცეთ“.**

**დისკუსია თანამედროვე საზოგადოებაში ე. წ. სექსუალურ უმცირესობათა მდგომარეობის შესახებ იმისკენ იხრება, რომ ჰომოსექსუალიზმი არა სქესობრივ გარყვნილებად, არამედ მხოლოდ ერთ-ერთ „სექსუალურ ორიენტაციად“ იქნას აღიარებული და თანასწორი უფლება ჰქონდეს საქვეყნოდ გამომჟღავნებისა და პატივისცემისთვის. აგრეთვე, ამტკიცებენ, რომ ჰომოსექსუალურ სწრაფვას ინდივიდუალური ბუნებრივი მიდრეკილება განაპირობებს. მართლმადიდებელი ეკლესია იმ უცვლელი მრწამსიდან ამოდის, რომ ქალისა და მამაკაცის ღმრთივდადგენილი საქორწინო კავშირის შეჯერება გარყვნილ სექსუალურ გამოვლენებთან შეუძლებელია. იგი ჰომოსექსუალიზმს თვლის კაცობრივი ბუნების ცოდვიან წახდენად, რომელიც სულიერი ძალისხმევით შეიძლება გადაილახოს და მას ცოდვისაგან განკურნება და ადამიანის პიროვნული გაზრდა მოჰყვეს. ჰომოსექსუალური კვეთებანი, ისევე როგორც სხვა ვნებები, რომელნიც აწვალებენ დაცემულ ადამიანს, იკურნებიან საიდუმლოებით, ლოცვით, მარხვით, მონანიებით, წმიდა წერილისა და წმიდა მამათა თხზულებების კითხვით, აგრეთვე, ქრისტიანული ურთიერთობით იმ მორწმუნე ადამიანებთან, რომელნიც სულიერი მხარდაჭერისთვის მზადყოფნას გამოხატავენ.**

**მოძღვრული პასუხისმგებლობით ეპყრობა რა ადამიანებს, რომელთაც ჰომოსექსუალური მიდრეკილებანი აქვთ, ამასთანავე, ეკლესია გადაჭრით უპირისპირდება მცედლობებს ცოდვიანი ტენდენციის „ნორმად“, მით უმეტეს სიამაყის საგნად და მისაბაძ მაგალითად წარმოდგენისათვის. სწორედ ამიტომ ეკლესია გმობს ჰომოსექსუალიზმის ყოველგვარ პროპაგანდას. არავის არ ეუბნება რა უარს ცხოვრების ძირითადი უფლებებით სარგებლობაზე, პიროვნული ღირსების პატივისცემასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობაზე, ეკლესია, მაინც, მიიჩნევს, რომ პირები, რომელნიც ჰომოსექსუალური ცხოვრების წესის პროპაგანდას ეწევიან, არ უნდა იქნენ დაშვებულნი სასწავლო, აღმზრდელობითსა და სხვა სახის სამუშაოზე ბავშვებსა და ახალგაზრდებთან, აგრეთვე, არ უნდა ეჭიროთ უფროსის მდგომარეობა არმიაში და გამოსასწორებელ დაწესებულებებში.**

ასე რომ, სამართლიანი მორალური მოთხოვნების შესაბამისად, სექსუალურ უმცირესობათა აღლუმების გამართვა დაუშვებელია. ცოდვის საზეიმო დემონსტრაცია ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ზნეობისა და კულტურის შესარყვნელად არის გამიზნული. აქედან გამომდინარე, ჩვენ აუცილებლად უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა იმ ძალებს, რომლებიც სიკეთისა და ბოროტების განურჩევლობას გვაიძულებენ.

**გრიგოლ რუხაძე,**
ჟურნალ „სამი საუნჯის“ რედაქტორი

**ინტერნეტიდან**

# „კალიგულამ ცხენი მაინც აირჩია, მიშამ კი ვირებით გაავსო ჩვენი პარლამენტი“!

(მესამე გვერდიდან)

- „მას ხომ ისტორიას თვით სვიმონ მასხარაშვილი ასწავლის და ისტორია როგორ არ ეცოდინება“...
- „კალიგულა იყო ნერონამდე და მან აირჩია ცხენი, და არა ნერონმა, ყველაფერი როგორ უნდა მოიტყუო შენი დედა....ჯერ იყო და აღდგომაზე სიკვდილის გამარჯვება თქვი,შე გიჟო“...
- „ბინძური ვირთხა; ისეთი რა უსინდისო დედის გაზრდილია, რომ სტუდენტებს აბანძებენ, პენსიონერები აბანძებენ, დიასახლისები, მომუშავენი, გლეხები, მუშები, დაუსაქმებლები აბანძებენ...... ბავშვები და სასულიერო პირებიც კი აბანძებენ და მაინც არ რცხვენია, შუბლი აშკარად ჟავშნით აქვს დაფარული და არაფერი არ აღწევს შიგ“.
- „ნეტა გერასიმეს ძაღლის სახელი თუ იცის“.
- „რა, პოეზია არ იცის, თუ რა, გენიოსია“...
- „პროვინციული სკოლის დამწყები კლასების ისტორიის მასწავლებლადაც არ გამოდგება, არამცთუ პრეზიდენტად. სირცხვილი ჩვენ, კარგად რო არ დავაკვირდით, ამ ტიპს რო დაფნის გვირგვინს ვადგამდით“.
- „უტვინო უწიგნურმა პრეზიდენტმა ისიც არ იცის, ცხენი ვინ აირჩია სენატში, ისე მარტო ინგლისურის ცოდნა განათლებას და წიგნიერებას არ ნიშნავს“...
- „კალიგულამ ცხენი მაინც აირჩია, მიშამ კი ვირებით გაავსო ჩვენი პარლამენტი“!
- „ამის გამოსწორება არ იქნება“...
- „რამდენი ორიანი უნდა მიიღოს ამ კაცმა, რომ კლასიდან გარიცხონ... არადა, ყველაფერში უკვე „ოროსანია“... გაიტანეთ კლასიდან“...
- „ვისაც მოგწონთ, ღმერთმა ბედნიერებაში მოგახმაროთ“!
- „და შენ რას აპირებ, ააა? ხალხი, როცა უკვე იცინის და შაყირობს პრეზიდენტზე, ესე იგი მომავალი ჩვენია“...
- „მიშა, შენ ცხენიც რომ არ ხარ“...
- „რაც მართალია, მართალია, ეს კაცი ძალიან მაგარია პოეზიაში და ისტორიაში“.
- „ეტყობა ვიღაც იდიოტი მრჩეველი ჰყავს ისტორიულ საკითხებში, მარა ეტყობა ბოლომდე არ უსმენს ან თავისებურ ინტერპრეტაციებს აკეთებს, ეჰ, ესეც ჰიტლერივით დაამთავრებს“.
- „უხვლაშქრიანი ყმიანი გახსოვთ? ჰოდა, ანტიკური რომის ისტორიის ცოდნას სთხოვთ, თქვე დალოცვილებო“?!
- „მიშა თვითონაა კალიგულა და პარლამენტი საჯინიბოდ ჰქონდა ქცეული. ეგ ვისზე რას ამბობს“?
- „მიშას მინისტრებს, გუბერნატორებს და პარლამენტარებს გადახედეთ და თუ რომელიმე ცხენზე უკეთესია, ლახვარი დამკარით. რას ახსენებს ბიძინას, მაგისი ჭუჭყის ფასიც არაა ეს ვირთხა“!
- „მიხეილ, ისევ ჩაიფსი, მიხეილ“!
- „რამხელა პიტალო, ნახეთ რა“...
- „მიშაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება მაგრამ უკაცრავად და განათლებას ნამდვილად ვერ დაუწუნებთ!! იცის კაცმა საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიოს ისტორია და ლიტერატურა“..

ამოკრიბა
**ნატა ნიჟარაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ბრალს ვდებ!

**სააკაშვილმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული საკუთარი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ ქართველი და მხოლოდ(!) ქართველი ხალხის მიმართ, სააკაშვილმა გენოციდი ქართველ ხალხს მოუწყო!** თანაც ისეთი, რომელსაც გამოძიება არ სჭირდება! ეს არის ქართული სოფლების მოსახლეობის შეგნებული ჩატოვება საბრძოლო მოქმედებების არეალში! სახეზეა დოკუმენტური ფაქტები, ათასობით ლტოლვილი ადამიანის ჩვენება და მისი სიმაღლესობის აღიარებითი ტელეჩვენებები! **სწორედ ეს გახლავთ საქართველოს პრეზიდენტის მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, რაზედაც, ჩემდა გასაკვირად, დღესაც ისე საუბრობენ იმდროინდელი ოპოზიციონერები, ახლა კი ხელისუფლებაში თუ მის გარეთ მყოფი პოლიტიკოსები და ექსპერტები (რამდენიმეს გარდა!), როგორც სააკაშვილის ერთ რიგით დანაშაულზე,** და კითხვასაც ერთობ მორიდებულ ფორმას აძლევენ: რატომ არ მოხერხდა ქართული სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაცია? თითქოს, ვინმე ეცადა და რაღაც მიზეზით ეს არ მოხერხდა! და ეს კითხვაც, სადღაც სხვა კითხვებს შორისაა ჩაკარგული!

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ დანაშაულს არავითარი გამოძიება არ სჭირდება, ფაქტები პირდაპირ ღაღადებენ უმძიმეს დანაშაულზე, რომლის ანალოგი კაცობრიობამ არ იცის. მათ თანამიმდევრულად მოგახსენებთ:

7 აგვისტოსთვის გაზეთის(!) რიგითი მკითხველისთვისაც კი ცნობილი იყო, რომ გარდა რუსის ჯარის და სამხედრო ტექნიკის თავმოყრის ადგილისა როკის გვირაბის სიახლოვეს, ცხინვალიდან და შემოგარენი სოფლებიდან ჩრდილოეთ ოსეთში ავტობუსებით გადაიყვანეს 34 ათასი(!) ადამიანი, ანუ ცხინვალი, პრაქტიკულად, დაცლილი იყო (მოსახლეობის ევაკუაცია მთელი კვირა გრძელდებოდა!).ცნობილი გახდა ისიც, რომ სეპარატისტულ რეგიონში იმატა ჩრდილო კავკასიიდან შემოსული „ბოევიკების" რიცხვმა.

**ამ ინფორმაციიდან გასაკეთებელი შესაბამისი დასკვნა პირდაპირ ხელისგულზე იდო: ბრმისთვისაც ცხადი იყო, რომ მოწინააღმდეგე მხარე ომისთვის ემზადება. სხვა ახსნა ბუნებაში არ არსებობს და ამიტომ ყველა ნორმალურმა ადამიანმა იცის, თუ რა ზომებს იღებს ხოლმე სახელმწიფო ასეთ აშკარა საომარ სიტუაციაში – მას იმავე დღეებში და იმავე რეგიონიდან სასწრაფოდ გამოჰყავს მოსახლეობა და, ამის პარალელურად, საერთაშორისო მასშტაბის განგაშს ტეხს რუსეთის სამხედრო სამზადისის თაობაზე** (საზღვრის სიახლოვეს გეგმიური სამხედრო წვრთნების დროს ტეხენ ერთ ამბავს და, დაუფარავ საომარ მზადებაზე, რაზედაც, ათეულ ათასობით მოსახლის გახიზვნა მიუთითებდა, ხომ უნდა შეეძრათ მსოფლიო!).

**არაფერი ამის მსგავსი საქართველოს ხელისუფლებამ არ გააკეთა, პირიქით, ოფიციალური განცხადება გაავრცელა იმის თაობაზე, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის აუცილებლობა არ არსებობს! სიბრიყვით გასწირა ხელისუფლებამ ქართული მოსახლეობა თუ შეგნებულად? მე ვფიქრობ, შეგნებულად, რადგანაც არც სამხედრო მოქმედებების დაწყების შემდეგ უფიქრია ევაკუაციაზე, რითაც კიდევ უფრო დაამძიმა თავისი დანაშაული.** თუკი რუსი შემოიჭრა პირველი, როგორც ამაში ჩვენს დარწმუნებას ცდილობს სააკაშვილი, ზომები (ევაკუაცია) ხომ მაშინაც იგივე უნდა განხორციელებულიყო! ზოგიერთი „ნაცი"შეეცდება ახსნა მოუძებნოს ამ დანაშაულს – სააკაშვილს უთუოდ სწრაფი გამარჯვების და რუსეთის არჩარევის იმედი ჰქონდაო (თითქოს, ამაზე ლაპარაკობს დროშებით და ტრიბუნებით გამზადებული ორი მანქანაც). ასეც რომ იყოს, ეს იოტისოდენადაც ვერ გაამართლებს მის წინდაუხედაობას და თავდაჯერებულობას, რასაც ათასობით ადამიანის გაუბედურება მოყვა. თანაც, ამ ვერსიას აბათილებს პრეზიდენტის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის შეცდომაში შეგნებულად შეყვანა ცრუ ინფორმაციის გავრცელებით, თითქოსდა, საქართველოს ჯარები აკონტროლებდნენ ყველაფერს და, აქედან გამომდინარე, მშვიდობიან მოსახლეობასაც არაფერი არ ემუქრებოდა. პრეზიდენტის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია მესამე შემადგენელი ნაწილია იმ მძიმე დანაშაულის, რომელსაც ვერავინ ვერ მოუძებნის გამართლებას.

**მეოთხე შემადგენელია მშვიდობიანი მოსახლეობის კვლავ (მესამედ!) „გადავიწყება" და მათი სასიკვდილოდ გაწირვა, როცა დამარცხებული ქართული ჯარის უკანდახევისას, ბედის ანაბარა ჩატოვეს პრეზიდენტის რიხიანი განცხადებებით დამშვიდებული ხალხი თავიანთ სახლებში, საიდანაც ბევრმა ცოცხალმა ველარ გამოასწრო – ზოგი მოკლეს, ზოგი გააუპატიურეს და ზოგიც ტყვედ აიყვანეს;** გამოასწრეს მხოლოდ იმათ, ვინც თვალი მოკრა გამოქცეულ, უიარაღო ქართულ ჯარს. ნაცვლად იმისა, რომ გაცემულიყო მკაცრი ბრძანება და ჯარს უზრუნველეყო მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა და ევაკუაცია, უმეთაუროდ დარჩენილი დეზორგანიზებული ჯარი პირველი გამორბოდა! **რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ ხელისუფლებაში ვერავინ ვერ მოტვინა მოსახლეობის ევაკუაციის აუცილებლობა, რომ ამერიკელი მრჩეველებიდანაც არავინ უთხრა სააკაშვილს ამის თაობაზე,** თუ არავის არ დაუჯერა მთავარსარდალმა და ყველა ფეხებზე დაიკიდა?! **სჯერა ამ სისულელის ვინმეს?! საბრძოლო მოქმედებების თვითნებურად წამომწყებს და დასავლელი მეგობრების რჩევების უგულებელმყოფელს, რასაც, შედეგად, რუსეთ-საქართველოს ომი მოჰყვა, ომის დამთავრებისთანავე 4.5 მილიარდს არავინ აძლევს!**

სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებებიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ მას სურდა ცხინვალის რეგიონში განმეორებულიყო იგივე, რაც მოხდა აფხაზეთში 20 წლის წინათ, სადაც ასევე უპატრონოდ მიატოვა მშვიდობიანი მოსახლეობა შევარდნაძემ (ჯერ ომს გამორიდებული მოსახლეობა დააბრუნა აფხაზეთში, შემდეგ, ხელმეორედ გამოსაქცევად გამზადებული სოხუმელები დააიმედა ცრუ დაპირებებით და, რამდენიმე დღეში, თავად უშველა მხოლოდ საკუთარ თავს), ანუ განმეორებულიყო ისეთივე მასობრივი ამოწყვეტა მოსახლეობის (საბედნიეროდ, ცხინვალის რეგიონში ტრაგედიამ არ მიიღო აფხაზეთის მასშტაბები მხოლოდ იმიტომ, რომ რუსის რეგულარული ჯარი მონაწილეობდა, რომელიც, ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ბევრად უფრო წესიერად ეპყრობოდა ხალხს და ოსი „ბოევიკებიც" მთლად ისე ხელ-ფეხგახსნილები არ იყვნენ, როგორც ჩეჩნები, სომხები და აფხაზები აფხაზეთში).

**მშვიდობიან მოსახლეობასთან დაკავშირებული ამდენი დანაშაული პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ წინდაუხედაობასთან კი არ გვქონდა საქმე, არამედ – მიზანმიმართულ ქმედებასთან, სხვანაირად ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ არ მოხდა მოსახლეობის ევაკუაცია არც სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე, არც დაწყების შემდეგ და არც – უკანდახევისას, რა მიზანს ემსახურებოდა სააკაშვილის მიერ ცრუ ინფორმაციის გავრცელება თუ არა იმას, რომ მოსახლეობა დარჩენილიყო სახლებში და დალოდებოდა გამხეცებული ოს-ჩეჩენ-კაზაკი „ბოევიკების" ხელიდან სიკვდილს და გაუპატიურებას, სახლების გადაწვას და დამცირებას, სხვა რითი უნდა აიხსნას ხელისუფლების მიერ წინასწარ მომარაგებული, ცხედრებისთვის განკუთვნილი 10 000(!) სინთეზური საკეტომარა.**

მაინც რა უნდა ყოფილიყო სააკაშვილის მთავარი ამოცანა, გნებავთ, მიღებული დავალება, რომელიც მან ფრიადზე შეასრულა, სხვანაირად, მას არავინ დატოვებდა პრეზიდენტის პოსტზე (ვინაც დასვა, იმათ ვგულისხმობ). რაც არ უნდა უარყოფითი ეპითეტებით შევამკოთ ყავლგასული პრეზიდენტი, სულელს მასზე ვერ ვიტყვით. ამიტომ გამორიცხულია, რომ მას შედეგები არ ჰქონოდა გათვლილი, როცა საქართველოს გაერთიანებას იწყებდა თავისი ჭკუით. ჩემი აზრით, **სააკაშვილის წინაშე იდგა ერთადერთი ამოცანა – ქართველი ხალხისთვის სამუდამოდ შეეძულებინა ერთმორწმუნე რუსი ხალხი, გაეწყვიტა რუსეთსა და საქართველოს შორის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კავშირები,** რასაც დიდწილად მიაღწია კიდეც აგვისტოს ომით. საქართველოს პრეზიდენტს როგორ უნდა დაგიბნელდეს გონება და დაივიწყო ისტორია, რომ რუსეთი მოსისხლე მტრად ჩაუბეჭდო თავში მომავალ თაობას, თურქეთი კი, ისტორიულ მეგობრად გამოაცხადო! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბათუმი და სამცხე-ჯავახეთი საქართველოს შემადგენლობაში რომაა (ჯერჯერობით!), რუსეთის დამსახურებაა, თურქეთისგან კი გვახსოვს რამე კარგი? თურქები ხომ ისე გაათავხედა სააკაშვილმა რამდენიმე წელიწადში, რომ ბათუმში, ზოგიერთ ქუჩაზე ქრისტიან ქართველ კაცს ველარ გაუვლია და რესტორანშიც მათ ნებაზეა შეგვიშვებენ თუ არა! ასეთი რამ 200 წლის მანძილზე არ მოსვლია რუსს თავში! როგორ გგონიათ, მართლა სრულებით არ იცის სააკაშვილმა ისტორია? იცის, მაგრამ ისიც იცის, რომ თუ გინდა დიდხანს იჯდე ხალხის კისერზე და თავი პატარა ტირანად იგრძნო, უნდა დაივიწყო ეროვნება, ენა, რწმენა, სამშობლო, საკუთარი ხალხი და უსიტყვოდ შეასრულო გლობალისტურ-ლიბერასტული დავალებები.

## სააკაშვილის ყველაზე მძიმე დანაშაული, რომელსაც გამოძიება არ სჭირდება



**ვაი, შე უბედურო საქართველო, ეს ვის ხელში, რა ავადმყოფი ადამიანის ხელში იყავი 9 წელი და, ნაწილობრივ, დღესაც ხარ ამერიკის „წყალობით"!**

**ბევრი რამ შეიძლება ეპატიოს სააკაშვილს ცალკეული პირებისგან, მაგრამ საკუთარი ერის წინააღმდეგ ჩადენილი მიუტევებელი ვერაგობის პატიება არაფრით არ შეიძლება,** და ვერც ერთი მისი მომხრე და გამომზრდელი დასავლეთში ვერ იტყვის, რომ მსგავსი დანაშაულის პატიება დასაშვებია, ასეთი ტიპის დანაშაულზე არავითარი ხანდაზმულობის ვადა და ამნისტია არ მოქმედებს, თუნდაც იგი მთავარი რესპუბლიკელის მიერ იყოს გამზადებული კოჰაბიტაციურ რეჟიმში !

მინდა, იმითვე დავამთავრო, რითიც დავიწყე – აგვისტოს ომად წოდებული ომის გამოსაძიებელი კომისიით. ომის დამთავრებისთანავე, მალევე, შეიქმნა ევროკავშირის დაფინანსებული, ტალიავინის კომისიად წოდებული „საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია", რომელიც, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ადგენდა მხოლოდ ფაქტებს; საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა **„რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია"** პაატა დავითაიას თავმჯდომარეობით. თუმცა, კომისიას „ქმედებების შემსწავლელი" ჰქვია, დავითაია საჯაროდ აცხადებს,რომ მისი „კომისია ინფორმაციას მხოლოდ(!) აგროვებდა". ცოტა უცნაური კია, მაგრამ უნდა დავუჯეროთ თავმჯდომარეს. დავითაიას კომისიის სახელწოდებაში ჩადებული შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, კომისიის სახელის მომგონებს ჯერ შეფასება გაუკეთებიათ, მერე ინფორმაცია შეუგროვებიათ, მაგრამ შესწავლა აღარ დაუწყიათ, დამნაშავე ხომ თავიდანვე, სათაურიდანვე(!)ცნობილი იყო! **ტალიავინის და დავითაიას კომისიების მხოლოდ სახელების შედარება ნათელს ხდის, რომ დავითაიას კომისია შექმნის დღიდანვე „ნაცების" ინტერესებს ემსახურებოდა და რომ მას ობიექტურობის ნიშანწყალიც არ სცხია!**

ახლა კბილაშვილის კომისიაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. როგორც მთავარი პროკურორი აცხადებს, პროკურატურა შეისწავლის მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს. მოკლედ, ზოგი ადგენს, ზოგი აგროვებს, ზოგიც მხოლოდ გარკვეული საკითხების შესწავლას აპირებს. სამართლებრივის გარდა, სხვა საკითხები შესასწავლი აღარაა?! თითქოს კუჭი აეწვათ „ნაცების" ლიდერებს, მათ მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ, როდესაც პროკურატურის საგამოძიებო კომისიის შექმნის გადაწყვეტილების თაობაზე შეიტყვეს, მაგრამ არც იმდენად, და არც ყელყელაობა მოუშლიათ – დარწმუნებული არიან, რომ წლების მანძილზე მათზე კრუხივით გადაფოფრებული „სტრატეგიული პარტნიორი", ჩვეულებისამებრ, საჭირო მომენტში გამოძიებასაც დაამუხრუჭებს.

არ მინდა, უიმედო ნოტაზე დავამთავრო წერილი, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვა, რასაც ვგრძნობ. **სანამ საკუთარი ქვეყნის ინტერესების დასაცავად თავს არ გავაქანებთ და ხელს არ გავანძრევთ, სანამ მხოლოდ უსიტყვო, ყველაფერზე თავისდამკვრელები ვიქნებით, სანამ არ შევწყვეტთ ჩვენი ბიჭებისთვის თავში იმის ჩაჭედვას, ერაყში, ავღანეთში და ახლა უკვე აფრიკაშიც (მალიში) საქართველოს ვიცავთო, სანამ ხელისუფლებაში სახელმწიფოს და ერის წინაშე დამნაშავე ნაცმოძრაობაზე ხელისდამფარებელი ძალები იქნებიან, სანამ „ქართული დემოკრატიის ამოცანად ნაცმოძრაობის გადარჩენა იქნება დასახული" (უსუფაშვილი), მანამდე არაფერი არ გვეშველება!**

**შედარებითი შველა მხოლოდ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს შეუძლია, რომელშიც, იმედია, ხალხი ჭეშმარიტ „ქართულ ოცნებას" დაუჭერს მხარს და არა – თავისუფლების ინსტიტუტსა და საიაში „მწვანეებით" ნასუქ „მამულიშვილებს"!**

**იაკობ ლეჟავა,**

18 აპრილი, 2013

**P. S. ჯერ კიდევ 2013 წლის 6 იანვარს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას, თავდაცვის მინისტრმა ალასანიამ შემდეგი განაცხადა: „ჩვენი ქვეყნისთვის გამოწვევები არის არა მხოლოდ რუსეთი, არამედ არის ტერორიზმი და ასევე მეამბოხეთა შესაძლო შემოჭრა, როგორც რამდენიმე ხნის წინათ ლაფანყურში მოხდა"(?! – ი.ლ.).**

**ერთ დროს ასევე თავდაცვის მინისტრის, ამჟამად პარლამენტის ვიცე-სპიკერის ბარამიძის განცხადებით (ტელეგადაცემა „პოზიციაში", 2013 წლის 30 აპრილს) კი, თურმე, ყველაფერი პირიქით ყოფილა – ეს ე.წ. მეამბოხეები სხვადასხვა გზით და სხვადასხვა სახელმწიფოდან შემოსულან საქართველოში, აქ შეუძენიათ თანამედროვე იარაღი და, როდესაც გაერთიანებულნი, რუსეთში აპირებდნენ გადასვლას, სწორედ მაშინ აღუკვეთია ეს უკანონობა ჩვენს სპეცდანიშნულების რაზმს.**

**არადა, დღეს, ყველას კარგად ესმის, რომ ერთიც ტყუილს ლაპარაკობს და – მეორეც, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არის. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, „ნაცი" ბარამიძე ნახევრად ტყუილს ამბობს, „ოცნების" წევრი ალასანია კი – სრულს! ლაფანყურში ჩახოცილი ჩეჩენ-ქისტ-ქართველებიდან ნაწილი მართლაც შემოვიდა (შემოიყვანეს!) ევროპის ქვეყნებიდან, მაგრამ ისინი რუსეთიდან რომ არ „შემოჭრილან", ეს ბავშვმაც იცის.**

**ასეთი თანამდებობის პირების მიერ წინასწარ (გამოძიებამდე!) გაკეთებული აბსოლუტურად მცდარი და ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები, წერილში მოყვანილ სხვა მიზეზთან ერთად, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ, როგორც არ მოხდება 2008 წლის ე.წ. აგვისტოს ომის გამოძიება, ზუსტად ისევე არ გამოიძიებენ 2012 წლის აგვისტოს ე.წ. ლაფანყურის ოპერაციასაც! სხვაგვარადაც შეიძლება ითქვას: ლაფანყურის ოპერაციასაც ისევე გამოიძიებენ, როგორც – აგვისტოს ომს! არა, გამოძიება აუცილებლად დაიწყება, მაგრამ შინაურული დანაშაულების გამოძიება ვერ მიგვიყვანია ბოლომდე, სამართლის აღსრულებამდე(!), და 100 %-ში საერთაშორისო სკანდალის გამომწვევ დანაშაულებს გამოგვამზეურებინებს ვინმე?!**

**P.P.S. ახლა კი პატივცემულო რედაქციავ, ბელგიის მოქალაქე ომარ ხახაშვილზეც მინდა მოგწეროთ, რომლის წერილიც თქვენი გაზეთის 8 მაისის ნომერში დაიბეჭდა.**

**ჯერ კიდევ 2009 წლის 2 დეკემბრის ნომერში, მე მას პასუხი გავეცი ჩემს მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე წერილით – „ოპონენტს ჩემს წერილში ბევრი რამ სწორად ვერ გაუგია", სადაც შესავალ ნაწილში ვწერდი: „ტექსტიდან ამოგლეჯილი ადგილების კრიტიკა, რასაც ბატონი ომარი შვრება, საკმაოდ იოლია. მეც რომ იგივე ვქნა და სათანადო ჩემებური დასკვნებიც დავურთო, ვშიშობ, გულს ვატკენ". დასკვნით ნაწილში კი ვწერდი: „საკუთარი აზრის გადმოცემამ იმ მეთოდით, რომელსაც ბატონი ომარ ხახაშვილი იყენებს (ტექსტიდან ამოღებული ნაწყვეტების განხილვა ავტორისეული წინ წამძღვარებული მსჯელობისა და არგუმენტების გარეშე), ვეჭვობ, სწორი არჩევანი გაგვიადვილოს".**

**როგორ ვიფიქრობდი, რომ ბ-ნი ომარ ხახაშვილი 2013-ში „უარესს" იზამდა. თავის წერილში – „ჩვენი მიწის" ისტორიული და პოლიტიკური ასპექტი, ანუ ვინ ვის მიწაზე შეიჭრა?" („სრ", 2013, 8 მაისი), იგი ციტირებას ახდენს ჩემი 2009 წლის წერილიდან („სრ", 7-20 ნოემბერი) და კვლავ ამოგლეჯილად მოჰყავს ოთხი ნაწყვეტი. ამოგლეჯას ვინ დაეძებს, როცა ოთხი ნაწყვეტიდან სამი მე არ მეკუთვნის, საერთოდ არ არის ჩემს წერილში! მხოლოდ თავში მოტანილი ერთი ციტატაა ჩემი წერილიდან ამოღებული. სად ნახა მან, რომ მე სააკაშვილს „ბატონ მიხეილ სააკაშვილად" ან „ჩვენს პრეზიდენტად" მოვიხსენიებდე სადმე! სხვისი გამონათქვამების ჩემთვის მოწერა, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია. ბ-ნ ომარს არ უნდა ესწავლებოდეს, რომ, როდესაც ვინმეს ციტირებას ახდენ ვრცელი, გაზეთის ოთხ (!) ნომერში გაგრძელებებით გამოქვეყნებული წერილებიდან, ყურადღებასთან ერთად, სულ ცოტა, გაზეთის ნომერი ან ზუსტი თარიღი მაინც უნდა მიუთითო.**

**ჩემი ეს პასუხი საკმაოდ კორექტულია და მისი მიზანი მხოლოდ სხვის მიერ გამოთქმული მოსაზრებებისგან გამიჯვნაა, რასაც ასე დაუმსახურებლად მაწერს ბატონი ხახაშვილი.**

**ი. ლ**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 87-88

# „გამარჯვებულმა“ თბილისმა აჭარის „დაბრუნება“ აღნიშნა

**6 მაისს „წარმატებულმა“ საქართველომ აჭარის „დაბრუნების“ მეცხრე წლისთავი აღნიშნა. მედიამ, განსაკუთრებით ელექტრონულმა, გაიხსენა იმჟამინდელი პოლიტიკური პერიპეტიები. წინა პლანზე წამოსწია რა პრეზიდენტის „სასიხარულო“ ცნობა ასლან აბაშიძის „რეჟიმის“ დაცემის და მისი საქართველოდან წასვლის თაობაზე. გაიხსენეს ჩოლოქის აფეთქებულ ხიდთან მყოფი პრემიერ-მინისტრიც - სიტყვებით: „აბაშიძემ უნდა შეიგნოს, რომ მისი დრო დამთავრდა“.**

„რევოლუციონერებსა“ და აბაშიძეს შორის დაპირისპირება ლამის 1995 წელს დაიწყო. არჩევნებში გამარჯვებულმა „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულმა ფრთამ იმთავითვე ვერ იგუა პარლამენტში მოხვედრილი აჭარის დეპუტაცია, ზოგთან, გადაბირებისთვის საერთო ენა გამონახა, ზოგთან ფარული მტრობა გაახურა. ახალგაზრდა მოქკავშირელთა სახიფათო სამომავლო გეგმებს ხელს უშლიდა აჭარის ავტონომიის მეთაურის ავტორიტეტი, აჭარაში მიღწეული წარმატებები. იმჟამინდელ ჩაბნელებულ, დამშეულ, ქურდობითა და ყაჩაღობით გაჯერებულ დანარჩენ საქართველოსთან შედარებით აჭარა სიმშვიდის, სინათლის, სტაბილურობის სახეს ქმნიდა.

90-იანი წლების აჭარულ აღმშენებლობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, რამაც გარკვეული შური გააღვივა ცენტრსა და ავტონომიას შორის. შურს ისიც აძლიერებდა, რომ ცენტრი ვერ ახერხებდა ავტონომიის საშინაო საქმეებში ხელის ფათურს. სწორედ ასლან აბაშიძემ არ მისცა მას ამის საშუალება, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ის ყელამდე იყო აღვსილი ცენტრის ამბიციური გეგმებით.

**ჯერ იყო და გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებამ, ავტონომიის გაუქმების თაობაზე, ფართომასშტაბიანი გამოსვლები გამოიწვია ბათუმში, რომლის ჩახშობას აბაშიძის სერიოზული ძალისხმევა დასჭირდა. შემდეგ — კიტოვან-იოსელიანის ლაშქრის შეჩერება. აბაშიძის მოხერხებულობამ და ბათუმში მდგარი რუსეთის სამხედრო ბაზის გამოყენებამ გადაარჩინა აჭარა აოხრებისგან.**

აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთში დამარცხებულმა ცენტრმა ჯავრი აჭარის მეთაურზე იყარა — შავი „პიარის“ სახით. რა არ დაიწერა და ითქვა მასზე — რუსის გენერალი, თურქეთის ფაშა, სეპარატისტი, რუსულ-თურქული პოლიტიკის გამტარებელი. ითქვა ისიც, თუ როგორ ცდილობდა აბაშიძე აჭარის რუსეთთან და თურქეთთან შეერთებას. თბილისელ „პოლიტიკოსებს“ ის ვეღარ გაერკვიათ, ერთდროულად როგორ მოახერხებდა ამას აბაშიძე.

**ცენტრმა აბაშიძისგან მტრის ხატი გამოძერწა. ბათუმში ჩასულ კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს თბილისი ლამის მოღალატეებად აღიქვამდა. იმჟამინდელმა აჭარამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის, სულის გადარჩენაში. იყო თუ არა ყოველივე ეს საშური? ცხადია, იყო.**

ცენტრისა და ავტონომიის დაპირისპირება არასახარბიელო ნიუანსებს იძენდა, მათ შორის უპირველესი — შემოსავლების გადმორიცხვა-არგადმორიცხვა იყო. ცენტრისთვის წესად იქცა აჭარიდან შემოსული თანხების გარკვეული ნაწილის უკან არ დაბრუნება, რამაც ავტონომიაში ერთობ არასახარბიელო ვითარება შექმნა. ცენტრალურ ბიუჯეტზე მყოფ მოხელეებს ვერაფრით გაეგოთ, რატომ არ იღებდნენ ისინი ისე, როგორც ავტონომიის ბიუჯეტზე მყოფი მოხელეები.

ცენტრისთვის, ავტონომიის ხელისუფლების არაერთი თხოვნის მიუხედავად — თანხის გარკვეული ნაწილის დაბრუნება არ ხდებოდა, რამაც აიძულა აბაშიძე, გადაედგა კარდინალური ნაბიჯი, ანუ აჭარაში მყოფი, ცენტრალურ ბიუჯეტზე დამოკიდებული მოხელეების დაფინანსება.

ცენტრისა და ავტონომიის დაპირისპირება მკვეთრად გაიზარდა 1999 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ. პარტია „აღორძინების“ მზარდმა პოპულარობამ ცენტრი სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა. პრეზიდენტმა შევარდნაძემ უკიდურეს ზომებს მიმართა, მათ შორის შავ „პიარს“. არჩევნებამდე ერთი თვით ადრე მან საზოგადოებას მოუწოდა, არ მიეცათ ხმა ფაშისტური პარტია „აღორძინებისთვის“.

ხელისუფლების დავალებით ანტიასლანური პროპაგანდა გამძაფრდა. ტელე-ჟურნალისტმა ყანდიაშვილმა ისიც კი იკადრა, ტყუილით მიემართა ხალხისთვის - „თქვენ, რომ ხელფასებსა და პენსიებს ვერ იღებთ - ასლან აბაშიძის ბრალია, ვინაიდან ფული არ გადმორიცხაო“.

ანტიაღორძინების უმკაცრეს ზომად შეიძლება ჩაითვალოს „აღორძინების“ კონფერენციის ჩასაშლელად თბილისის ყველა დარბაზის ჩაკეტვა. „აღორძინებამ“ სხვა გზას მიმართა — ღია ცის ქვეშ მიტინგის გამართვას, რისთვისაც მიტინგისთვის სპეციალური ავტობუსებიც დაიქირავა მეზობელ თურქეთში.

ხელისუფლების სამარცხვინოდ, ავტობუსებს გადაცმული პოლიციელები დაახვედრეს, რომლებმაც თბილისის შემოსასვლელში დაარბიეს ავტობუსები — ჩაულეწეს მინები, დაუხეთქეს საბურავები და სხვა. სამწუხაროდ, თბილისმა ეს ბარბაროსული აქტი ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე მიიღო. სიტყვა არც საქართველოში აკრედიტებულ დასავლეთის ქვეყნების, მათ შორის



აშშ-ის საელჩოებსაც არ დასცდენიათ. მათი ფავორიტები „მოქალაქეთა კავშირი“ და პრეზიდენტი შევარდნაძე იყვნენ.

**და როდესაც ასეთი სამარცხვინო პოლიტიკური წარსული გაქვს, აღარ უნდა გაგიკვირდეს ის საშინელებები, რაც ნაცებმა ჩაიდინეს ხელისუფლებაში ყოფნის დროს.**

აბაშიძის სახელის გასატეხად ცენტრმა უცხოეთიც გამოიყენა — აქაოდა მარტო ჩვენ კი არ გვაწუხებს აბაშიძე, უცხოეთსაც აწუხებსო და ატყდა დისკრედიტაციული სტატიების წერა „ვაშინგტონ პოსტში“, „ვაშინგტონ ტაიმსში“, სხვა გაზეთებში.

**სტატიები ცენტრის მიერ იყო შეკვეთილი. ამ საქმეში ხელი გაიწაფა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ერთ-ერთი ამერიკული გაზეთის კორესპონდენტი, რომელმაც ვრცელი სტატია მიუძღვნა აბაშიძის ნარკობარონობას, იმასაც წერდა, რომ ინფორმაცია მას საგარეო უწყების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მიაწოდა, რომელმაც გვარის არ დასახელება სთხოვა.**

ასლან აბაშიძესთან პირად ომში ჩართულ თბილისს სულაც გადაავიწყდა, რომ ამით თავისსავე საქმეს ვნებდა, ანუ ქვეყნის მთლიანობას. ცენტრთან კონფლიქტში მყოფი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის აჭარა და მისი მეთაური მუდამ ყურადღების ცენტრში იყო. მათ წინააღმდეგ გადადგმულ ყველა ნაბიჯს ისინი შეშფოთებით შეჰყურებდნენ, თან იმასაც ამბობდნენ — აჭარას რას უკეთებენ და ჩვენ რას გვიზამენო. აქვე მინდა აღვნიშნო, აჭარის ხელისუფლების სანიმუშო დამოკიდებულება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან.

თბილის-ბათუმის დაძაბულობა გამძაფრდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. მოსკოვში მყოფმა აბაშიძემ, პრესკონფერენციაზე ამხილა გამარჯვებულთა სარისკო გეგმები. საფრთხის წინაშე დადგა აჭარაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. შერიგების პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ როგორც რუსი, ისე ამერიკელი დიპლომატები.

2003 წლის დეკემბერს თბილისში, ხანმოკლე ვიზიტით მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ლინ პასკომ, აბაშიძესთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა. ის და ჩვენთვის შემდგომში ცნობილი ბრაისა, აგრეთვე აშშ-ის ელჩი მაილსი, ჩემის თანხლებით ბათუმს ჩავედით.

ასლან აბაშიძესთან საუბარი კონსტრუქციული გამოდგა, თუმცა, არჩევნების ჩატარებაზე დასტური მასპინძელს არ გამოუთქვამს. ეს მოგვიანებით მოხდა მაილსის ვიზიტების დროს. საბოლოო ჯამში აჭარაში ჩატარდა არჩევნები, უფრო მეტიც, პრეზიდენტმა ინაუგურაცია აჭარიდან დაიწყო.

თითქოსდა შეიქმნა გარკვეული სახის თანამშრომლობაც, მაგრამ სამწუხაროდ ყოველივე მოჩვენებითი აღმოჩნდა, რაც დადასტურდა საპარლამენტო არჩევნებით. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ჭიაბერაშვილი) ბათილად ცნო „აღორძინების“ მიერ მიღებული ხმები და არ მისცა მას პარლამენტში შესვლის საშუალება, ხოლო არჩევნების დასრულებიდან რამდენიმე დღეში გამარჯვებულმა ნაცებმა მთელი საქართველოს „მოხალისეები“ მიაყენეს აჭარის კარს.

მოგვიანებით, სამშობლოდან გადახვეწილი ჟურნალისტი კომახიძე იტყვის, რომ ე.წ. ამბოხებულთა და ჟურნალისტთა დაწიოკების ორგანიზატორი თვით ნაცმოძრაობა იყო და ყოველივე აბაშიძის დისკრედიტაციას ემსახურებოდა.

6 მაისს აბაშიძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანოვმა მოსკოვს წაიყვანა. გახარებული საქართველო ერთხმად გაჰყვიროდა აჭარის დაბრუნების თაობაზე. იგივეს აცხადებდნენ პოლიტიკური პარტიებიც. მათ შორის დასამახსოვრებელი იყო „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლის ჩიხრაძის განცხადება, რომლითაც მარჯვენა შეუქო საააკაშვილს საშვილიშვილო საქმისთვის.

**არანაკლები თავშეუკავებლობით იყო აღსავსე იმჟამინდელი საგარეო უწყების ხელმძღვანელის ზურაბიშვილის 6 მაისამდე ნათქვამიც: „აბაშიძე გიჟია, ვერ ვხვდება, რომ უნდა წავიდესო“. დემოკრატიის ნაკრძალ საფრანგეთში გაზრდილი ქალბატონისგან არჩეული მეთაურისადმი მსგავსი ნათქვამი გაკვირვებას იწვევდა. აჭარის არჩევნებამდე სულ რაღაც 5 თვე იყო დარჩენილი, სწორედ იმ არჩევნებს უნდა გადაეწყვიტა აბაშიძის ბედი და არა თბილისის ძალისმიერ მოქმედებას.**

აჭარის „დაბრუნებამ“ ნეგატიურად იმოქმედა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. ეს ფაქტი მათთვის შემაშფოთებელი გამოდგა. ბათუმური ეიფორიით აღვსილი სააკაშვილი სამხრეთ ოსეთსაც მიადგა, თუმცა, წარუმატებლად, თბილისისთვის შეურაცხმყოფლად. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თბილისთან ურთიერთობის ჩამოყალიბების საბოლოო იმედიც გადაიწურა. არადა ისინი მზად იყვნენ ახალ ხელისუფლებასთან პრაგმატული კავშირებისთვის.

ფედერალური მოწყობის საკითხები აქტუალური იყო და არის მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, მაგრამ თუ იქ ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება, საქართველოში მსგავსი არ მომხდარა. დამოუკიდებლობის პერიოდში რეგიონალიზმის, ფედერალიზმის საკითხებზე ყურადღება არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის ხელისუფლებას არ გაუმახვილებია. არ შექმნილა ამ თემაზე მომუშავე სამთავრობო სამსახური. შევარდნაძის მიერ გამოგონილი სამინისტრო, ამჟამინდელი რეინტეგრაციისა მხოლოდ თვალებში ნაცრის შეყრა იყო და მეტი არაფერი.

ფედერალიზმისთვის არც საზოგადოება აღმოჩნდა მზად. ის, ისე, როგორც ხელისუფლება, ერთი მიმართულებით იყო და არის მომართული — ცენტრის განუსაზღვრელი ძალაუფლება. მაღალი რანგის პოლიტიკოსი, მოხელე თუ ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქე, საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობას მხოლოდ ცენტრალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე განიხილავს. მათ ვერ წარმოუდგენიათ, საკითხების უფრო დაბალ დონეზე განხილვა-გადაწყვეტა. ხელისუფლებისა და თბილისელთა დიდი ნაწილი სახელმწიფო მართვის ცენტრალიზაციასთან მიმართებაში, ერთსულოვანნი არიან.

**ავტონომიური მართვის საკითხი უცხო არ არის საქართველოს ისტორიისთვის. ამ თემას საღი თვალით უყურებდა ილია ჭავჭავაძეც: „ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობას. ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუას და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მმართველობისთვის ხალხს აღვიძებს და საზოგადო საქმისათვის წვრთნის და ავარჯიშებს“.**

ფედერალური მოწყობის საკითხები რომ ცხოველ ინტერესს იწვევდა საქართველოს ავტონომიებში, გასაკვირი არ არის, რამეთუ სწორედ მათ იწვნიეს ცენტრის ძალისმიერი მართველობის მწარე გაკვეთილები.

**ფედერალური მოწყობის სახელმწიფო სისტემის შექმნის წინადადებას აყენებდა 1992 წლის მარტიდან დაწყებული, აფხაზთა ლიდერი არძინბა, შევარდნაძის სახელზე გამოგზავნილ წერილში. ვერაფერს გახდა. საპასუხოდ ტანკები და ომი მიიღო - დღეს რომ ზოგიერთი, თავის გასამართლებლად, რუსეთთან ომს უწოდებს. „ჩვენ, რუსეთი გვეომებოდა და არა აფხაზეთიო“, — უტუხად აცხადებენ ისინი, თითქოს კბილებამდე შეიარაღებულ რუსეთთან, სუსტი საქართველოს ომი, დასაშვები იყო.**

ცენტრსა და ავტონომიას შორის მთელი რიგი საკითხების დახვეწას მოითხოვდა საქართველოს იურისდიქციაში მყოფი, ერთადერთი ავტონომიის მეთაური აბაშიძე. სწორედ ამისთვის აითვალწუნა ის ცენტრმა, თანაც იმ დონეზე, რომ სეპარატისტიც უწოდა. **რა უკუღმართი აზრი უნდა დატრიალებოდა თავში ზოგიერთ ვაი პოლიტიკოსს, რომ მემედ აბაშიძის შთამომავლისთვის სეპარატისტობა ეკადრებინა?!**

**არძინბას მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, რასაც ჯერ ფაქტიური, ხოლო შემდეგ (2008) იურიდიული დამოუკიდებლობა მოჰყვა.**

**არც აბაშიძის მცდელობამ იხარა. 2004 წლის მაისს ის მოსკოვს წაიყვანეს. „გამარჯვებულმა“ თბილისმა აჭარის „დაბრუნება“ იზეიმა, რასაც აჭარის ავტონომიაში სააკაშვილის პირდაპირი მმართველობის დამყარება მოჰყვა.**

სააკაშვილის წყალობით აჭარის ავტონომიას ავტონომიურობის არაფერი ეტყობა. იქაურ საკითხებს, აქაურები წყვეტენ და არა მარტო აქაურები, მეზობელი თურქებიც. რომ იტყვიან — მთელი სიგრძე-სიგანით მოქმედებს ყარსის ხელშეკრულება. თურქული გავლენა საგრძნობი და მზარდია.

**განვდევნეთ აბაშიძე, „დავიბრუნეთ“ აჭარა და თურქეთს ჩავაბარეთ. ომი ავტეხეთ და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთი რუსეთს ჩავაბარეთ. რას ვაპირებთ ხვალ? თუმცა, სახვალიო საქმეებს, სააკაშვილის მეცადინეობით, უკვე აქვს ჩაყრილი საფუძველი. მისი არსებობის შესახებ ჯერ არავინ იცის, ვინაიდან საიდუმლოების სუდარა ფარავს. ვინ იცის, ჩამოხსნის შემდეგ რა ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით?!**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მედიცინა**

**როცა ყოველი მეათე საქართველოში დიაბეტით არის დაავადებული, სავალდებულოა, გაცილებით მეტი გააკეთოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით. ახალმა მთავრობამ ჯანდაცვა პრიორიტეტად გამოაცხადა, თუმცა ჯერჯერობით გამოკვეთილი არ არის, რა იქნება თავად ჯანდაცვის პრიორიტეტული სფერო, რაზე გააკეთებენ სამინისტროში უმთავრეს აქცენტს. ჩვენი სტუმარია დიაბეტის ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორი რამაზ ყურაშვილი, რომელიც დიაბეტის პრობლემებზე გვესაუბრება.**

**— საინტერესოა. რა პრობლემას შეეხებოდა თქვენი თემები?**

— ერთი იყო ჰიპოგლიკემია — ანუ ნორმაზე დაბალი შაქარია, ძველი შეხედულებები და ახალი მიდგომები. სანამ არ არსებობდა ინსულინი, არც ეს დაავადება ახსოვს კაცობრიობას. ანუ მას იწვევს წამალი. როგორც მაღალი შაქარი, ასევე დაბალი შაქარი — ორივე საზიანოა ორგანიზმისთვის, ამიტომ დიაბეტიანმა პაციენტმა მუდმივად უნდა აკონტროლოს შაქარი.

მეორე თემა — ეს არის სახელმძღვანელოების სისტემა. როგორ უნდა იხელმძღვანელოს ექიმმა გაიდლაინებით ანუ გზამკვლევით. ერთი გაიდლაინი მსოფლიო დიაბეტის ფედერაციამ შემოგვთავაზა, მეორე — ევროპა-ამერიკის დიაბეტის ასოციაციამ. მათ შორის, ბუნებრივია, არის გარდაცვლილები.

**— საქართველოში რომელ გაიდლაინს იყენებთ?**

— ორივე მისაღებია. მსოფლიო დიაბეტის ფედერაცია გაცილებით ხელმისაწვდომ წამლებს გვთავაზობს. თუმცა, ჩემი აზრით, ფასის გამო დათმობა არ უნდა მოხდეს. თუკი წამალი ნაკლებეფექტიანია, შედეგი არ დადგება. ხარჯი ორმაგია. ევროპაში პაციენტებისთვის ძალიან ბევრს ხარჯავენ. განსაკუთრებით საფრანგეთში.

**— ალბათ, ამ თვალსაზრისით უადგილოც კი არის კითხვა, რა ხდება ჩვენთან?**

— ჩვენთან სინქრონულად ვერ ემთხვევა ერთმანეთს აზროვნება და შესაძლებლობა. წამლის ყიდვის მაღალი კრიტერიუმი ჩვენს საზოგადოებას არა აქვს.

**— რა მიდგომები აქვს ახალ მთავრობას დიაბეტთან დაკავშირებით?**

— ახალი მიდგომა, რაც დანერგა, ეს არის ყოველი ახალი შემთხვევის აღრიცხვა, ანუ სტატისტიკის ზუსტად დადგენა. რაიმე სხვა რადიკალური მიმართულება ჯერ არ ჩანს. თუმცა, ახლა უფრო ადვილია სამინისტროსთან თანამშრომლობა, გისმენენ, ექსპერტების აზრს ითვალისწინებენ.

**— ხომ არ შეგითავაზებიათ რაიმე პროგრამა?**

— სხვათა შორის, ჩვენ არ გვაქვს სამინისტროსთან ურთიერთობის ტრადიცია. უბრალოდ, რა ინიციატივაც არ უნდა გამოგეჩინა, არ გვისმენდნენ. ასრულებდნენ მხოლოდ ვადაგასული პრეზიდენტის სურვილებს. გაცილებით უკეთესი ვითარება იყო პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში. ახლაც კომიტეტთან ვთანამშრომლობთ.

**— ბატონო რამაზ, ჩვენ გვახსოვს პრევენციული პროგრამები ტუბერკულოზთან, კიბოსთან დაკავშირებით. არის თუ არა შესაძლებელი დიაბეტის პრევენცია?**

— ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვაა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ასევე შესაძლებელია დიაბეტიანი პირისთვის გართულებების პრევენცია, ანუ გაჩერება, რაც გაცილებით ნაკლებ ფინანსებთან არის დაკავშირებული. მაგრამ მსგავსი რამ არ გვქონია არასდროს. ის პროგრამებიც, რაც განხორციელდა სხვა დაავადებებთან დაკავშირებით, არაეფექტიანია, გამომდინარე იქიდან, რომ მაღალი ტექნოლოგიები არსად დანერგილა, ამის გარეშე კი ხელით ფარისებრი ჯირკვლის თუ სამკერდე ჯირკვლის გასინჯვა, არაფერი არ არის. სასიამოვნოა, რომ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მარინე ჯაში აქტიურად მუშაობს პრევენციის დანერგვის მიმართულებაზე, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია, რისკის ფაქტორის გამოჩენისთანავე შევაჩეროთ დიაბეტი.

**— დიაბეტი ძალიან სპეციფიკური დაავადებაა დიაგნოზის დასმის თვალსაზრისით. როგორც ვიცი, თქვენ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ სასწრაფო დახმარების მუშაობასთან დაკავშირებით.**

— აბსოლუტურად უკმაყოფილო ვარ სასწრაფო დახმარების ექიმებით. ისინი არ არიან გათვითცნობიერებული. სასურველი არ არის დიაბეტიანი პაციენტის მიყვანა ყველა საავადმყოფოში. ავადმყოფის მანქანით აქეთ-იქით „სეირნობას", სჯობს იმთავითვე კომპეტენტურ ცენტრში მოხვდეს. სასწრაფოს ექიმებმა არ იციან და არც ევალებათ ეს. ამიტომ, ალბათ, თვითონ პაციენტებმაც უნდა გამოიჩინონ ინიციატივა. თქვენ წარმოიდგინეთ, რადიოლოგიაში სად გააკეთებენ იმაზე უკეთეს ანალიზს, ვიდრე თოდუას კლინიკაში. აბსოლუტურად მაღალტექნოლოგიური აპარატურაა ინგოროყვას კლინიკაში, ან დიაბეტიან პაციენტებს სად უმკურნალებენ იმაზე უკეთ, ვიდრე დიაბეტის ცენტრში?

**— მაგრამ აქ მნიშვნელოვანია დაზღვევის ინსტიტუტი. პაციენტი შეზღუდულია მივიდეს იქ, სადაც მას სურს.**

— მოქალაქისათვის კარგ ცენტრში მოხვედრა პრობლემას არ წარმოადგენდეს. აი, სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობა ნამდვილი თავის ტკივილია. მათი ექიმები ჩვენს სპეციალისტებთან ახლოსაც ვერ მივლენ. დიაბეტიან ავადმყოფებს ძალიან ცუდად ექცევიან, ამბობენ, რომ ამ დაავადებას არ აზღვევენ. სადაზღვევოებს ჩვენი არ ესმით, თვითონ გვკარნახობენ და საბოლოოდ, ექიმებს უხელფასოდ ტოვებენ.

სადაზღვევოები არ არიან პრევენციული ღონისძიებებით დაკავებული და ეს არც არის მათი პრეროგატივა. ცდილობენ, ჰქონდეთ რაც შეიძლება დაბალი ფასები და მეტი მოგება, მაგრამ საბოლოო ჯამში, ისინი ასე გაკოტრდებიან. ამიტომ, ალბათ, ამ მიმართულებითაც მიდგომა უნდა შეიცვალოს და გადაიხედოს...

**— მოდით, ჩვენი საუბარი რომ შევაჯამოთ, რა არის იმისთვის საჭირო, რომ დიაბეტიანმა პაციენტებმა უკეთ იგრძნონ თავი?**

— ხალხს უნდა კომპეტენტური ექიმი, მაღალხარისხიანი წამალი, სრულფასოვანი კვება, ნაკლები სტრესი, კარგი ეკოლოგიური გარემო... თუ ვებრძვით სიმსუქნეს, ვებრძვით გულსისხლძარღვთა დაავადებებს, ვებრძვით დიაბეტს, ამისთვის სასურველია მეტი მოძრაობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი... მოკლედ ბრძოლა და მუშაობა საჭიროა კომპლექსურად. ამაში უნდა ჩაერთოს ჯანდაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, სპორტის სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო (რათა არ დაიჩაგრონ ქრონიკული დაავადების მქონე პირები საზოგადოებაში), პარლამენტი, რა თქმა უნდა, ექსპერტები. იქნებ ეს ადამიანები როდესმე ერთად შევიკრიბოთ, დავსხდეთ და კომპლექსურად განვიხილოთ თუნდაც ეს ერთი დაავადება — დიაბეტი?! კარგი იქნებოდა ამის ორგანიზება მედიის წარმომადგენლებს მოგეხერხებინათ...

**— უდავოდ, საინტერესო იდეაა, ვეცდებით.**

ესაუბრა
**თეა მოსია**

# რამაზ ყურაშვილი:
# დიაბეტის პრევენცია გაცილებით ნაკლებ ფინანსებს მოითხოვს



**გაითვალისწინებს თუ არა ჯანდაცვის სამინისტრო ექსპერტის მოსაზრებებს?**

— არ არის ქვეყანა, სადაც არ იყოს ეს დაავადება გავრცელებული და სამწუხაროდ, არსად დიაბეტიანი პირების რაოდენობა არ იკლებს. ზუსტ პროგნოზსაც ვერასოდეს ამბობენ. 2012 წლის დასაწყისში ვარაუდობდნენ, რომ 366 მილიონი იქნებოდა, მაგრამ წლის ბოლოს 377 მილიონი დიაბეტიანი პაციენტი აღმოჩნდა. 2-ჯერ მეტია დაუდასტურებელი დიაბეტიანების ციფრი. პირველ ადგილზეა ჩინეთი, მას მოსდევს ინდოეთი, მესამეზე — აშშ-ის ღარიბი მოსახლეობა. 5-დან 4 განვითარებადი ქვეყნის მოსახლეობა ავადდება დიაბეტით, რისფაქტორებია: გენეტიკა, გარემო, ეკოლოგია, ურბანიზაცია და ა. შ. ქალაქის მოსახლეობა 2-ჯერ მეტად არის დაავადებული, ვიდრე სოფლისა. ასევე განმსაზღვრელია, კვება.

**— არასრულფასოვანი საკვები თუ პირიქით, გადაჭარბებული კვება?**

— ზედმეტი ტკბილი არ უნდა მიიღონ, მაშინაც კი თუ რისკის ფაქტორი არა აქვთ. სასტიკად გამორიცხულია ხელოვნური დამატკბობლები. ზოგადად, ჩვენთან საკვები ძალიან დაბალი ხარისხისაა. განსაკუთრებული ეჭვით ვუყურებ დიაბეტიანებისთვის განკუთვნილ საკვებს, რომელიც ჩვენს გასტრონომებში იყიდება. უმჯობესია, მივიღოთ ხილი და ბოსტნეული, მთავარია, მასში არ იყოს დიდი რაოდენობით ნიტრატი...

**— ასეთი პრობლემა, ალბათ, დამახასიათებელია სხვა ქვეყნებისთვისაც. თქვენ რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდით ბაქოდან, სადაც საერთაშორისო სამიტზე ბრძანდებოდით.**

— ამ მხრივ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მართლაც დიდი პრობლემებია. მაგალითად ბელგიაში ერთი ცალი კროასანი 5 დოლარი ღირს, როცა ჩვენთან ამ ფასად 10 ცალს იყიდი. ხარისხი დაბალია და სრულიად უვარგისია, სწორედ ამიტომ.

რაც შეეხება სამიტს, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია მას ყოველწლიურად ატარებს. 2015 წელს საქართველოში ჩატარდება. სულ 40 ნაშრომი გაიგზავნა სხვადასხვა ქვეყნიდან. 12 ნაშრომი შეარჩიეს და აქედან ჩემმა ორმა შრომამ პირველ-მეორე ადგილი დაიკავა.



## დედამიწის ზურგზე



**ავსტრალიის პრემიერი ატირდა პარლამენტში გამოსვლის დროს**

ჯულია ჰილარდმა ვერ შეძლო თავი შეეკავებინა, როდესაც წარადგენდა კანონპროექტს რეფორმების შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისთვის სოციალური უზრუნველყოფის სფეროში. მისი კაბინეტი აპირებს, შემოიღოს ინვალიდებისთვის დაზღვევისა და სხვა პროგრამის ახალი სქემა. ეს ბიუჯეტს წელიწადში 15 მილიარდი დოლარი დაუჯდება.

* * *

**ისლამისტებმა ერაყში ღვინის მაღაზიებში 12 კაცი დახვრიტეს**



შეიარაღებული თავდასხმის სერია მოხდა ზაიუნის რაიონში ბაღდადის აღმოსავლეთ ნაწილში. ბოევიკები მიდიოდნენ მაღაზიებთან ოთხი ავტომობილით და ხვრეტდნენ ადამიანებს ავტომატებიდან. მსხვერპლთა შორის 9 კლიენტი და 3 სავაჭრო წერტილების მფლობელია.

* * *

**ლონდონში პოლიციამ დააკავა სუტენიორები რუსეთიდან — გათავისუფლებულია 9 სექსუალური მონა**



დაკავებულთა შორის 27-დან 44 წლამდე ასაკის 4 ქალი და 2 მამაკაცია. ვარაუდობენ, რომ ბანდის ხელმძღვანელი იყო რუსეთის ფედერაციის მცხოვრები 44 წლის ქალი, ისიც დააკავეს. ყველა დაკავებულს ბრალი ედებათ ხალხით ვაჭრობაში, პროსტიტუციასა და ფულის გათეთრებაში.

* * *

**აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა წარმატებით გამოსცადეს უპილოტო თვითმფრინავის აფრენა ავიამზიდის გემბანიდან**

აპარატის ფრენა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში საბორტო კომპიუტერების მართვით. ოპერატორი საქმეში ერთვება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. ეს მანქანა განსხვავდება სხვა უპილოტო თვითმფრინავებისგან, რომლებსაც ამერიკელი სამხედროები იყენებენ.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილისგან საზღვარგარეთ მოგზაურობათა შესახებ ანგარიში მოითხოვეს

**„ქართულმა ოცნებამ“ 14 მაისს მოითხოვა, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჩააბაროს ანგარიში თავისი უცხოეთის ვიზიტების და მათი ხარჯების შესახებ. საქართველოს ხელმძღვანელი ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია და იქ მართავს შეხვედრებს, რომელთა შესახებაც მმართველ კოალიციას ინფორმაცია არ გააჩნია. ადრე საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები ჩიოდნენ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ აყენებდა საქმის კურსში თავისი მოგზაურობების შესახებ მათაც კი. უფრო მეტიც, მიღებული საოქმო ნორმების დარღვევით, დიპლომატები არ შეჰყავთ იმ დელეგაციების შემადგენლობაში, რომელსაც სააკაშვილი უდგას სათავეში.**

**საქართველოს პრეზიდენტი საზღვარგარეთული ვოიაჟების დროს დღესასწაულებსა და გამაჯანსაღებელ პროცედურებზე ათობით ათას დოლარს ხარჯავს სახელმწიფოს სახსრებიდან**




პირველად ეს საკითხი დაისვა მწვავედ აპრილში, როდესაც პრეზიდენტი იყო თურქეთში და მოლაპარაკებათა შორის პერიოდში აღმოჩნდა ჰოსპიტალში მას შემდეგ, რაც ველოსიპედიდან ჩამოვარდა სეირნობის დროს. მთავრობის წარმომადგენლებმა მის გამცილებლებთან დაკავშირებაც კი ვერ შეძლეს, რომ გაერკვიათ, თუ რა მდგომარეობაშია იგი და რა დახმარებაა საჭირო.

**პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ანი მიროტაძემ („ქართული ოცნებიდან“) ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ ამჟამად სიტუაცია მეორდება — არც საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, არც ქართველმა ელჩებმა არაფერი იციან პრეზიდენტის ოკეანისგაღმისეულ ვოიაჟზე.**

**— ეს ხომ არანორმალურობაა! სააკაშვილმა ასეთი წესი დაადგინა: იგი თავად არის თავისი თავის კანონი. დროა, ბოლო მოეღოს ასეთ არაცივილიზებულ პრაქტიკას. გადასახადების გადამხდელებმა უნდა იცოდნენ, თუ რატომ მიდის პრეზიდენტი უცხოეთში, რა საკითხებს წყვეტს ქვეყნისთვის, რისთვის იხარჯება ამ დროს სახელმწიფო სახსრები,** — თქვა მან.

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 14 მაისს ასევე განაცხადა, რომ სააკაშვილმა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ აპირებს მოინახულოს კიდევ ხუთი ან ექვსი ქვეყანა, უნდა წარმოადგინოს ანგარიში ამ ვიზიტების შესახებ. თავად მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელმა მიიღო გადაწყვეტილება გარკვეული პერიოდით გადადოს უახლოესი გამგზავრება უცხოეთში — საფრანგეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი სიტყვებით, ჯერ საჭიროა, მოწესრიგდეს საშინაო პრობლემები, რომ სახელმწიფო „სწორად ფუნქციონირებდეს“.**

**პრეზიდენტის მომხრეები, ბუნებრივია, საკითხის ასეთი დაყენების კატეგორიული წინააღმდეგი არიან.**

**— ივანიშვილის განცხადებები, რომ პრეზიდენტმა ანგარიში უნდა ჩააბაროს ვიზიტების შესახებ, არაადეკვატურია. სააკაშვილი სახელმწიფოს მეთაურია. საგარეოპოლიტიკური ფუნქციების განხორციელება — ეს მისი პრეროგატივაა, ეს ქვეყნის სასიკეთოდ კეთდება. აი, ივანიშვილის პოზიცია კი სარგებელს ნამდვილად არ მოიტანს,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში დეპუტატმა პრეზიდენტის პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დავით დარჩიაშვილმა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ასევე გაოცება გამოთქვეს პრემიერის კრიტიკასთან დაკავშირებით. იქ ჩვენ შეგვახსენეს, რომ აპრილის ბოლოს — მაისის დასაწყისში სააკაშვილი უკვე იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და, კერძოდ, სახელმწიფო მდივანთან ჯონ კერისთან განიხილავდა საქართველო-ამერიკის ურთიერთობათა პერსპექტივებს, ვაშინგტონის დახმარებას საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გასამტკიცებლად, ნატოში შესვლის პერსპექტივებს. ახლაც ამერიკაში დაგეგმილია მნიშვნელოვანი შეხვედრები, თუ, კერძოდ, ვისთან, მოგვიანებით გვაცნობებენ.

**„ქართულმა ოცნებამ“ უცხოეთის ვოიაჟებისთვის სააკაშვილის ხარჯებით დაინტერესება დაიწყო ჯერ კიდევ აპრილში, როდესაც საიდუმლოების გრიფები მოეხსნა დოკუმენტებს, რომლებიც მის პირად დაცვას შეეხება. სწორედ ამ მუხლით იხარჯებოდა ადრე სახელმწიფოს მეთაურის სხვადასხვა ხარჯები. ცნობების გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის გაზაფხულზე კონტროლი პრეზიდენტის უსაფრთხოების შესახებ გადავიდა ბიძინა ივანიშვილის მთავრობაში. კერძოდ, ამ ახალ წელს, თავისი პარტიის დამარცხების შემდეგ პარლამენტის არჩევნებში, სააკაშვილი შეხვდა არაბეთის გაერთიანებულ საემიროში დაახლოებული პირების ჯგუფს, რაზეც 145 ათასი დოლარი დაიხარჯა. შემდეგ პრეზიდენტმა და თბილისის მერმა გიორგი უგულავამ ავსტრიაში გაიარეს პროცედურების კურსი წონაში დასაკლებად. ამაზე 70 ათასი დოლარი დაიხარჯა.**

ИЗВЕСТИЯ

◉ თარიღი

# „ნათლია და ნათლულები სცენაზე“



**65 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო ალგებრაისტ-ტოპოლოგს, აკადემიკოს ნოდარ ბერიკაშვილის ღირსეულ მოწაფესა და დიდი გიორგი ჭოღოშვილის ღირსეულ მათემატიკურ „შვილიშვილს“, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თორნიკე ქადეიშვილს.**

ეს შესანიშნავი, მსოფლიო მასშტაბით აღიარებული სპეციალისტი 40-მდე ნაშრომისა და ერთი ფუნდამენტური მონოგრაფიის ავტორია. მისი გამოკვლევები, ზოგ შემთხვევაში გერმანელ, ესპანელ, ამერიკელ კოლეგებთან ერთად შესრულებული, გამოქვეყნებულია ერთობ პრესტიჟულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და მაღალი ციტირების ინდექსითაც გამოირჩევა. თ. ქადეიშვილის მეცნიერული შედეგები ბევრჯერ მოხსენდა სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ კონფერენციებს, საზღვარგარეთ აღინიშნა ჰუმბოლდტის სტიპენდიით, საქართველოში — ანდრია რაზმაძის სახელობის სააკადემიო პრემიით. იგი გახლავთ ამერიკის მათემატიკური საზოგადოების წევრი (1988 წლიდან), თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის (ტრიესტი, იტალია) უფროსი ასოცირებული წევრი (2008 წლიდან) — იქ ყოველწლიური ორთვიანი მიწვევითა და ადგილზე მუშაობით. სხვადასხვა დროს თ. ქადეიშვილი, აგრეთვე, იყო მიწვეული პოლონეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, აშშ-ის, მექსიკის უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიერო ცენტრებში.

სხვა დროსაც გვითქვამს: როცა მეცნიერების ამა თუ იმ დარგში მკვიდრდება მკვლევრის სახელთან „შებმული“ თუნდაც ერთი ცნება (ან ტერმინი), ეს უკვე უკვდავებაა! ჩვენი იუბილარის გვარით კი ალგებრასა და ტოპოლოგიაში (ახლა უკვე სხვა დისციპლინებშიც) სულ მცირე სამი ობიექტია „მონათლული“: **ქადეიშვილის მინიმალური მოდელი, გეტცელერ (გერმანელი მათემატიკოსი)-ქადეიშვილის ალგებრა, ქადეიშვილის ალგორითმი.** ქართველი მათემატიკოსის ერთი დებულება თვით ავტორისა და უცხოელ მკვლევართა მიერ სხვადასხვა სიტუაციაში განზოგადდა და ასე გაჩნდა გამოთქმა „ქადეიშვილის ტიპის თეორიები“. ქადეიშვილის მინიმალურ მოდელს არაერთი გამოყენება აღმოაჩნდა ფიზიკაში (სამთა თეორიაში); მის სხვადასხვა შედეგს სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიებენ როგორც კლასიკურს(!), როგორც ჰომოტოპიური ალგებრის საკვანძო თეორიას(!), როგორც ძირითად მნიშვნელოვან თვისებას გარკვეულ ალგებრათა(!), როგორც ინტელექტუალურ გარღვევას(!)...

„თორნიკე ქადეიშვილის ნაშრომთა მნიშვნელობა იზრდება არა მარტო მათემატიკაში, არამედ ფიზიკაშიც. ის რჩება დარგის ლიდერად“... ამას წერს დარგის — ჰომოტოპიური ალგებრის დამფუძნებელი, ამერიკელი მათემატიკოსი ჯეიმს სტაშეფი!..

ვესაუბრებით იუბილარს, აწ ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარესა და გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს:

**— რას იტყოდით ჩვენში მეცნიერებისა და განათლების ამჟამინდელ მდგომარეობაზე?**

— წინა ხელისუფლების სამეცნიერო პოლიტიკამ, უფრო სწორად, ასეთი პოლიტიკის არარსებობამ ქართულ მეცნიერებას დიდი ზიანი მიაყენა. ჩვენი სამეცნიერო სისტემა ბოდიში და, ავგიას თავლას დაამსგავსეს, რომლის გაწმენდა-გასუფთავება ძალიან გაძნელდება. ახალ ხელისუფლებას კარგად ესმის ქვეყნისათვის მეცნიერების მნიშვნელობა და როლი; ამიტომაც შემუშავდა ე. წ. გია დვალის კონცეფცია და იმედია, პარლამენტის შესაბამისი კომისიის, მისი თავმჯდომარის, აკადემიკოს ვანო კიღურაძის ძალისხმევით მდგომარეობა გამოსწორდება. განათლებას რაც შეეხება, ის წარმოუდგენელია უმეცნიეროდ, რაც კარგად ჩანს გია დვალის კონცეფციაშიც.

**თამაზ ებანოიძე**

# საქართველოში დაიწყებენ 2008 წლის აგვისტოში საქართველო-რუსეთის ომის დროს შესაძლო დანაშაულებრივი მოქმედებების შესწავლას

2008 წლის აგვისტოში და მომდევნო პერიოდში საქართველო-რუსეთის ომის მსვლელობის დროს შესაძლო დანაშაულებრივ მოქმედებათა შესასწავლად შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი 8 კაცის შემადგენლობით. შესაბამისი ცნობა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა სამშაბათს. **„სისხლის სამართლის საქმის დიდი მოცულობისა და კომპლექსურობის მნიშვნელობის, აგრეთვე, საერთაშორისო სისხლის სამართლის წესდების — რომის სტატუტისა და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, მთავარმა პროკურატურამ გამოძიების წარმართვა სისხლის სამართლის საქმეზე დაავალა საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის თანამშრომლებს“,** — აღნიშნულია ცნობაში.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დაადასტურა, რომ გიორგი მარგველაშვილის დასახელება პრეზიდენტობის კანდიდატად მმართველი კოალიციის „ქართული ოცნებისგან“ ოქტომბრისთვის გათვალისწინებულ არჩევნებზე საბოლოოა. **„გადაწყვეტილება განხილვას არ ექვემდებარება“, — განაცხადა მან სამშაბათს პრესკონფერენციის დროს. როდესაც შეფასებას აძლევდა კოალიციის მიერ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე წარმოდგენილ კანდიდატურას, პრემიერმა აღნიშნა, რომ ბედნიერია, რომ „საქართველოს საზოგადოებაში აღმოაჩინა გიორგი მარგველაშვილი“. „ეს ადამიანი გამოირჩევა იმით, რომ იგი სახელმწიფოებრივად აზროვნებს... ასეთ ხალხს იშვიათად შევხვედრივარ, შეიძლება სულ რაღაც ორ-სამჯერ“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა შეკითხვებზე პასუხების დროს არ გამორიცხა, რომ შეიძლება დაესწროს ოლიმპიურ თამაშებს სოჭში. **„ოლიმპიადის დაწყებამდე შვიდი თვეა. მიწვევა არ მიმიღია, თუმცა, უიმისოდაც შეიძლება ჩახვიდე სოჭში. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები“,** — თქვა ივანიშვილმა.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

◉ ინფორმაცია

## ხვედელიძეს 5 ათასი ლარის გირაო შეეფარდა

**თბილისის საქალაქო სასამართლომ შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ პირველ მოადგილე გელა ხვედელიძეს აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა. საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით, ხვედელიძე 5 ათასი ლარის გირაოს გადახდის შემდეგ გათავისუფლდება.**

**თბილისის საქალაქო სასამართლოში შს მინისტრის ყოფილი მოადგილის გელა ხვედელიძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი ხვედელიძის გარეშე განიხილეს. პროცესზე ბრალდებული არ მიუყვანიათ. აღსანიშნავია, რომ პროკურატურა ხვედელიძისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდა.**

**შსს-ს მინისტრის ყოფილ პირველ მოადგილე გელა ხვედელიძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტით წაუყენეს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის გამოყენებით პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას გულისხმობს და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.**

**მინისტრის პირველი მოადგილე გელა ხვედელიძე შინაგან საქმეთა სამინისტრომ 12 მაისს პირადი საიდუმლოების ხელყოფის ბრალდებით დააკავა.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ კონტაქტები

# ლევან ყიფიანის ვიზიტი აზერბაიჯანში



**ამ დღეებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი საქმიანი ვიზიტით აზერბაიჯანში იმყოფებოდა. იგი იქაურ კოლეგას აზად რაგიმოვს შეხვდა და ურთიერთთანამშრომლობაზე ესაუბრა.**

ოფიციალური შეხვედრისას აზად რაგიმოვმა ლევან ყიფიანს აზერბაიჯანელ სპორტსმენთა მიღწევები და სახელმწიფო პროგრამა „აზერბაიჯანელი ახალგაზრდობა 2011-2015" გააცნო, შემდეგ კი მათ ერთად მოინახულეს რამდენიმე სპორტული კომპლექსი.

საქართველოს და აზერბაიჯანის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია ურთიერთობის გაღრმავება სპორტული კუთხით და ორი ქვეყნის ახალგაზრდებს შორის კავშირების გააქტიურება.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ ჭადრაკი

# სეანსი მარნეულში

**მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის საჭადრაკო კლუბის მოსწავლეებს ერთდროული თამაშის სეანსი ჩაუტარა მსოფლიო ჭადრაკის ლეგენდამ ნონა გაფრინდაშვილმა.**

სეანსს წინ უძღოდა საქალაქო ჩემპიონატების გამარჯვებული მონაწილეების დაჯილდოება.



დახურვის ცერემონიალმა საზეიმო ვითარებაში ჩაიარა, ნორჩი მოჭადრაკეები დააჯილდოვეს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გიორგაძემ, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა აზერ სულეიმანოვმა,მაჰირ დარზიევმა, ალი მამედოვმა, რეინტეგრაციის სამინისტროს წარმომადგენელმა ქვემო ქართლში სავალან მირზოევმა.

მარნეულის ახალგაზრდული ცენტრი განლაგებულია ჩაის სახლში, რომელიც 2010 წლის 29 ივლისს საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის „სოკარის" წარმომადგენლობამ შეიძინა და ყველა პირობა შექმნა მოზარდების განვითარებისა და ზრდისთვის. ცენტრში ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული თუ შემეცნებითი წრე და პირობებიც ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „სოკარის" საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორის მაირ მამედოვის დამსახურება ჭადრაკის განვითარებაში რეგიონში.დაგეგმილია მრავალი საჭადრაკო ტურნირის ჩატარება, მათ შორის საერთაშორისო დონის. აღსანიშნავია ისიც, რომ მარნეულელ მოზარდებს ჭადრაკს საერთაშორისო დიდოსტატი ვალერი გაფრინდაშვილი ასწავლის.

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ მეზობლებთან

# ცხადაძე რადიკალურ ცვლილებებს აპირებს



**ბაქოს „ინტერის" მთავარი მწვრთნელი კახაბერ ცხადაძე გუნდში რადიკალური რეფორმების გატარებას გეგმავს. ამის შესახებ მან აზერბაიჯანის საფეხბურთო პრემიერლიგის ბოლოსწინა ტურში ზაქათალის „სიმურგთან" სტუმრად წაგების (0:1) შემდეგ განაცხადა.**

„ადრე ამბობდნენ, რომ „სიმურგი" „ინტერის" ფარმკლუბია. ახლა ზაქათალელებმა დაინახონ, რომ ეს ასე არ არის. თუ მომავალ სეზონში გუნდში დავრჩები, რადიკალურ ცვლილებებს გავატარებ და გუნდის უკეთესად ჩამოყალიბებას ვეცდები", — იუწყება ცხადაძის სიტყვებს extratime.az-ი.

**გიორგი შოთაძე**

◉ ქართული ჭიდაობა

# ოთხეულები ფინალში იასპარეზებენ

**ჭიათურაში დამთავრდა საქართველოს ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. საპრიზო ადგილებისა და, შესაბამისად, ფინალური ეტაპის საგზურებისთვის ცაგერის, ფოთის, სამტრედიის, ქუთაისის, ზესტაფონის, საჩხერის და ჭიათურის 1993-1995 წლებში დაბადებული სპორტსმენები იბრძოდნენ.**

**სამწუხაროდ, საასპარეზოდ არ ჩავიდნენ მესტიის, ლენტეხის, ტყიბულის და თერჯოლის რაიონების წარმომადგენლები.**



შეჯიბრება გაიმართა მაღალორგანიზებულად, რაშიც დიდი წვლილი ჭიათურის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურისა და სასპორტო სკოლის ხელმძღვანელობას მიუძღვის.

პირველობის გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებით დაჯილდოვდნენ. მედალოსნები საქართველოს პირველობის ფინალში გამოვლენ.

**კვარცხლბეკი**

**55 კგ.** 1. ვოლდიმ გაბიანი (ქუთაისი), 2. ლადო გელენიძე (ზესტაფონი), 3. დემურ შუშანია (ფოთი).

**60 კგ.** 1. ანზორ ნასარიძე (საჩხერე), 2. იაკობ დიხამინჯია (ქუთაისი), 3. ზურაბ კუპატაძე (ზესტაფონი).

**65 კგ.** 1. ნუგზარ ქურასბედიანი (ქუთაისი), 2. გოგა კაპანაძე (სამტრედია), 3. დავით ჩაფიჩაძე (ზესტაფონი).

**70 კგ.** 1. ირაკლი ტალახაძე (საჩხერე), 2. ლევან მაგრაქველიძე (ზესტაფონი), 3. მირიან ენუქიძე (ჭიათურა).

**75 კგ.** 1. გიორგი კაცაძე (სამტრედია), 2. მიშიკო ბუზალაძე (ჭიათურა), 3. დავით გაბიანი (ქუთაისი).

**80 კგ.** 1. ომარ ვაშაკიძე, 2. უშანგი მარგიანი (ორივე — სამტრედია), 3. ზურაბ ქომეთიანი (ცაგერი).

**90 კგ.** 1. ფრიდონ შარიქაძე (ზესტაფონი), 2. გაგა სამინავა (ფოთი), 3. ჯაბა ჩეჩელაშვილი (ქუთაისი).

**+90 კგ.** 1. გუგა ლაზუაშვილი (ზესტაფონი), 2. დავით ქომეთიანი (ცაგერი), 3. ცოტნე ხურცილავა (ქუთაისი).

**გივი გაგუა**

◉ აკრობატიკა





# ახალგაზრდების თამამი ნაბიჯები

**არაოლიმპიურ სპორტის სახეობებს შორის აკრობატიკა საქართველოში ერთ-ერთი წარმატებულია. მის წარმომადგენლებს მრავალჯერ უსახელებიათ თავი თვით მსოფლიოს ჩემპიონატებზე — არაერთხელ ასულან კვარცხლბეკის სხვადასხვა საფეხურზე.** კარგა ხნის უქმობის შემდეგ სპორტის ეს სახეობა თავის ტრადიციებს იბრუნებს, განსაკუთრებით ახალგაზრდები დგამენ თამამ ნაბიჯებს საერთაშორისო სარბიელზე. ამას წინათ მათ დებიუტი ჰქონდათ სოფიის საერთაშორისო ტურნირზე. ბულგარეთის დედაქალაქში 13 ქვეყნის წარგზავნილები იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. ქართველებმა (დელეგაციის ხელმძღვანელი — ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ინგა გიორგობიანი, მსაჯები — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები ნინო ბერიანიძე და დალი ფეიქრიშვილი) საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა ხუთი მედლით აღნიშნეს. გოგონათა წყვილებში ანი ჯოხაძე და ნინო სირაძე დინამიკურ ვარჯიშში მეორე ადგილზე გავიდნენ, აბსოლუტურში კი ბრინჯაოს დასჯერდნენ. ვაჟთა წყვილებში გიორგი ოქროპირიძემ და ტარიელ სირაძემ დინამიურ და სტატიკურ ვარჯიშებში, ასევე აბსოლუტურში, მესამე ადგილები დაიკავეს. გოგონათა სამეული (გვანცა მურღულია, თინათინ პარწიკანაშვილი, მარიამ ფოფხაძე) მე-7 ადგილით დაკმაყოფილდა.

ქართველი აკრობატები ოქტომბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვლენ.

**ლექსო ცინცაძე**

◉ სანთელი

# გელა დარსაძე

იგი სულმნათმა სულიკო თორთლაძემ გამოაწრთო თავის განთქმულ ქურაში და ქუთაისის საკალათბურთო სკოლის ღირსეულ წარმომადგენლად გამოზარდა.



**გელა დარსაძე** ადლიანი ნაბიჯებით შეუყვა ოლიმპიური ჩემპიონების ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას გაკვალულ ბილიკს და კიდევ ერთ სახელოვან რიონისპირელ ნიკოლოზ დერიუგინთან ერთად საკუთარი მხრებით ზიდა ის დიდი ტვირთი, რასაც თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრობა ჰქვია.

რეაქტიული გარღვევები მეტოქის ფარქვეშ, დახვეწილი ინდივიდუალური ოსტატობა, ფილიგრანული ტექნიკა, ზუსტი ტყორცნები და შესაშური ბრძოლისუნარიანობა — ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ თვისებებიდან, რაც 9-ნომრიან გამთამაშებელს კოლეგათაგან და პარტნიორთაგან გამოარჩევდა.

მართალია, მის თაობას წინამორბედთა შესადარი ტიტულები არ რგებია, მაგრამ დარჩა ის განუმეორებელი სათამაშო სტილი, რომელიც მხოლოდ გელა დარსაძეს გაგვახსენებს.

ზემოთ კი ვთქვით, ჩინ-მედლებით არ დაუმშვენებია მკერდიო, მაგრამ კარიერის გვირგვინად ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბ „ატლანტა ჰოუქსის" პირველ საბჭოურ ტურნეში მონაწილეობა დაიდგა. დაგვეთანხმებით, ამით ბევრი ვერ დაიკვეხნის.

დასანანია, რომ გელა დარსაძის გულისძგერა 51 წლის ასაკში შეწყდა.

აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა.

**„საქართველოს რესპუბლიკის" სპორტის რედაქცია**

◉ ინტერნეტიდან

# სექს-ბომბა — სპორტის მინისტრად

**მას შემდეგ, რაც ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი გარდაიცვალა და საიქიოში თავის იდეურ ძმებს, მარქსსა და ენგელსს ჩაეხუტა, ბევრს ჰქონდა იმედი, რომ ვენესუელის ცხოვრებაში რაიმე შეიცვლებოდა, მაგრამ ეს იმედები დროთა მდინარებამ წაიღო...**

ერთადერთი, რაც ვენესუელის ახალმა პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ გააკეთა, რამდენიმე მინისტრის შეცვლაა. მათ შორის შეიცვალა სპორტის მინისტრი და ახალ მინისტრად 32 წლის სუპერსექსუალური ქალბატონი ალეხანდრა ბენიტეს რომერო დაინიშნა.

მშვენიერი ალეხანდრა ყოფილი მოფარიკავეა და სპორტის ამ სახეობაში საკმაოდ ბევრ ტიტულსაც ფლობს. თუმცა, ამას გარდა, იგი თამამი ფოტოგადაღებების სიყვარულითაც გამოირჩევა და მისი სხეულის შუქ-ჩრდილებით სრულიად ვენესუელაა დამტკბარი. მინისტრი გვყავსო, ვენესუელელებმა უნდა თქვან...

**ბეჟან დოლიძე**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ საბანკო კონტროლი

# საგადასახადო ბრძოლა: არგადამხდელთა მშვიდი ცხოვრების დასასრული?

**კუნძულ კვიპროსზე დაწყებულ და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ოფშორულ ზონებში აგორებულ ფინანსურ სკანდალს, რომლის ინსპირატორები, არსებული მონაცემებით, ამერიკელი ჟურნალისტები და მათ ზურგს უკან მდგარი მძლავრი ებრაული ფინანსური ჯგუფები არიან, ახლა კონტინენტურ ევროპაში გაგრძელდება.**

გაზეთ „კიპრუს მეილის" ცნობით, რესტრუქტურიზაციის შედეგად იქაური ბანკების ყველა წვრილი კლიენტისა და აქციონერის მთლიანი დანაკარგი ათ მილიარდ ევროზე მეტი იქნება. რეფორმის ფარგლებში „ბენკ ოფ კიპრუსი" „ლაიკი ბენკს" შეუერთდება, რის შედეგად ასი ათას ევროზე დიდი ყველა ანგარიშიდან დაახლოებით 30 პროცენტი ჩამოიჭრება, დიდი ანგარიშების ნაწილი – „ბენკ ოფ კიპრუსის" აქციებით კონვენტირდება, დარჩენილი ნაწილი კი გაიყინება. ამის შედეგად მეანაბრეებს საკუთარი ფინანსური სახსრების მხოლოდ 10 პროცენტის გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ წვრილი მეანაბრეები, ანუ ისინი, ვის ანგარიშებზე 100 ათას ევროზე ნაკლები თანხებია, საერთოდ არ დაზარალდებიან.



კვიპროსის საბანკო სისტემის კეთილდღეობა, ისევე როგორც სხვა ოფშორების ფინანსური სისტემებისა, უცხოელ მეანაბრეთა შენატანებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია ამერიკელთა ინიციატივაც იმის თაობაზე, რომ გერმანიამ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ესპანეთმა და იტალიამ საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გაცვლის საპილოტე პროგრამის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს, რაც გადასახადების გადახდისგან თავის ამრიდებლებთან დიდი ბრძოლის დაწყებას ნიშნავს. ამერიკელთა აქტივობა ამ მხრივ იმითაა განპირობებული, რომ იქ წლეულს უცხოური საბანკო ანგარიშების დაბეგვრის შესახებ კანონი (ე.წ. „ფატკა") ამოქმედდა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ხუთი წამყვანი ევროპული სახელმწიფოს ინიციატივას ევროკავშირის სხვა ქვეყნებიც შეუერთდებიან. გამონაკლისი, როგორც ჩანს, ავსტრია და შვეიცარია იქნებიან, რომლებიც საბანკო საიდუმლოების შენარჩუნებას აპირებენ. თუმცა, კი ეს უკანასკნელი ევროკავშირის წევრი სულაც არ არის.

აღსანიშნავია, რომ ამერიკული „ფატკა" ფინანსური კომპანიებისგან საგადასახადო ორგანოებისთვის იმ ამერიკელთა შესახებ სათანადო ინფორმაციის გადაცემას მოითხოვს, რომლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ 50 ათას დოლარზე მეტი თანხის ანგარიშს ფლობენ. ევროპული „ფატკას" დეტალები კი 22 მაისს გასამართ ევროკავშირის სამიტისთვის გახდება ცნობილი. ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებს საკუთარი მოქალაქეების უცხოური აქტივებისა და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატურად გაცვლის დაკანონება სურთ. ევროსაბჭოს თავმჯდომარის ჰერმან ვან რომპეის განცხადებით, ევროკავშირის ბიუჯეტი ყოველწლიურად ტრილიონ ევროს კარგავს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ საპილოტე პროექტში ჩართვის სურვილი გამოთქვეს ასევე ჰოლანდიამ, ბელგიამ, პოლონეთმა და რუმინეთმა.

ამასთან დაკავშირებით, ქართველ ექსპერტთა აზრით, საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ავტომატურ პროგრამას პოზიტიური მნიშვნელობა ექნება საქართველოსთვისაც. ერთი, რომ იგი დამატებულ სტიმულს შექმნის ევროკავშირში გაწევრების არცთუ იოლი გზის დაძლევისას, რა კურსსაც ქვეყნის ახალი ხელისუფლება განუხრელად მიუყვება. მეორე გარემოება კი ისაა, რომ ევროპის თანამეგობრობაში გაერთიანების შემდეგ, რომელსაც, იმედია, საქართველო უახლოეს მომავალში ნამდვილად მიაღწევს, სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფოთშორისო დოკუმენტთან ქვეყანა საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ავტომატურ პროგრამასაც შეუერთდება, რაც წლების მანძილზე აქედან უკანონოდ გაზიდული უამრავი ფულადი სახსრის კვალს მიგვაგნებინებს და მათ გამზიდავებს სააშკარაოზე გამოიყვანს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**საადვოკატო ბიურო „ადვოკო კონსალტინგი" საადვოკატო მომსახურებას გაგიწევთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შემდეგ სფეროებში:**

საოჯახო, სამემკვიდრეო, საბანკო, საფინანსო, სახელშეკრულებო, სადაზღვევო, სააღსრულებო, სამეწარმეო, ჯანდაცვის სამართალში და ა. შ.

ჩვენი გუდი შედგება მაღალი კვალიფიციური იურისტებისგან სამართლის პროფესორ შალვა ქურდაძის ხელმძღვანელობით, რომელიც გვერდში დაგიდგებათ უძრავ ქონებასთან და სხვა აქტუალურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტაში.

ჩვენ შევძლებთ ნებისმიერი გამოუვალი სიტუაცია გავხადოთ მართვადი!

**მის: ვაჟა ფშაველას III კვ. II კორპ. (ვაჟა ფშაველას ძეგლთან) ტელ: (+995 32) 2946990.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში"*
**299-62-77; 599 32-85-76.**

◉ წარდგინება

# „ანეულში" ყველამ უნდა ჩავყაროთ შემოქმედების მარცვლები




**კინოს სახლში ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის" პირველი ნომრის წარდგინება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ ჟურნალ „ანეულთან" არსებული ლიტერატურული გაერთიანების წევრები, მწერლები, მხატვრები, გამოცემის ავტორები, მკითხველები.**

საღამოს უძღვებოდა ფილოლოგი და მწერალი **ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილი**. მან მადლობა გადაუხადა ტელევიზია „ობიექტივის" ხელმძღვანელობას ჟურნალის თანადგომისათვის.

**ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა თამარ შაიშმელაშვილმა** მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდში დაუდგა ჟურნალს. მან დაასახელა შემომწირველების გვარები. ახალი ნომერი ცნობილი ჟურნალისტის, რადიოს პირველი არხის რადიოპროგრამა „ჩვენი საგანძურისა" და „ხაზის რადიოს" ავტორისა და წამყვანის **ივანე ჯაფარიძის** თანადგომით გამოვიდა. მან დავით ალმაშენებლის პრემიიდან ჟურნალს ერთი ნომრის გამოსაცემი თანხა შემოსწირა.



ჟურნალის პასუხისმგებელმა რედაქტორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **სოფიო ჯაფარიძემ** საინტერესოდ მიმოიხილა ახალი ნომერი და იმ ძირითად ტენდენციებზე გაამახვილა ყურადღება, რის მიხედვითაც ჟურნალის სარედაქციო ჯგუფი მომავალში იმუშავებს.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, მწერალმა **თამარ მიქაძემ** დასძინა, რომ. პოეტისა და ჟურნალისტის თამარ შაიშმელაშვილის ძალისხმევით გამოსულმა ჟურნალმა „ხელეურმა" თავის დროზე საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უკვე მოაწონა თავი: „დღეს ვესწრებით „ანეულის" წარდგინებას. გამოვიდა პირველი ნომერი, ახალი სახელწოდებით, ახალი სუნთქვითა და შემართებით.

ვულოცავ დღევანდელ დღეს რედაქტორს, ავტორებს, მკითხველებს, გაერთიანების წევრებს. იმედი მაქვს „ანეული" ღირსეული გამგრძელებელი იქნება იმ ჟურნალ-გაზეთებისა, რომლებმაც თავის დროზე ენისა და მამულის თვითმყოფადობის გადასარჩენად იღვაწეს".

**ივანე ჯაფარიძე**: „გილოცავთ დღევანდელ დღეს, რადგან საქართველოში ახალი ჟურნალის გამოცემა, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ მგზნებარე გულზე და უფულო ხალხზე, იოლი არ არის, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ, ჩვენში ყოველივე ღირსეული და კარგი მხოლოდ მაშინ კეთდებოდა, როცა სათავეში ჩაუდგებოდა ენთუზიაზმით აღსავსე ადამიანების გარკვეული ჯგუფი, და რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნულ საქმეს. ის ეროვნული საქმე ბოლომდე მიდიოდა. ჩვენც ვეცდებით, რომ ჟურნალი „ანეული" გავიტანოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ერთადერთი იმედი ამ საქმეში ქართველი ხალხია.

**ქეთევან დოლიძე, პოეტი,** გურამ რჩეულიშვილის პრემიის ლაურეატი: „ჟურნალი „ანეული" გაზაფხულის ნახნავია, რომელშიც ჩვენ – ყველამ უნდა ჩავყაროთ შემოქმედებითი მარცვლები, და აქედან აუცილებლად ამოვა პურის ყანა...

დღეს ბევრი ებრძვის ქართულ სიტყვას. ქართული სიტყვის გადარჩენაა ჟურნალი „ანეული"... შემთხვევითი არ არის, რომ თამარ შაიშმელაშვილმა ჟურნალის გარშემო ეროვნული ადამიანები შემოიკრიბა"...

**ჯუმბერ ჯიშკარიანი, ჟურნალისტი და სპელეოლოგი:** „ერთმანეთის თანადგომით გამოცემული ჟურნალი ერთ-ერთი საუკეთესო მეგზური იქნება იმათთვის, რომლებიც ხვალ და ზეგ ასპარეზზე გამოვლენ. ეს ჟურნალი ახალგაზრდობას ნამდვილ სულიერ საზრდოს მიაწვდის. ძალიან გავიხარე, როცა რამდენიმე ხნის წინათ გამოჩენილი მწერლის, საზოგადო მოღვაწის ლევან გოთუას საფლავზე უამრავი ხალხი მოვიდა და განსაკუთრებით გასახარი ის იყო, რომ ახალგაზრდობა – სტუდენტები, მოსწავლეები მოვიდნენ.

ეს ჟურნალი ალბათ ყველაფერს გააკეთებს, რომ შემოიკრიბოს ირგვლივ ის ახალგაზრდები, რომლებიც ხვალინდელი საქართველოს მშენებლები იქნებიან".

პოეტმა **ნინო ტარყაშვილმა** დამსწრეთ აცნობა ახალი პროექტის შესახებ, რომელიც „ანეულმა" წამოიწყო – „ჩემი ბავშვობა". მან ყველა ხელოვან ადამიანს, მწერალს, მუსიკოსს მხატვარს მოუწოდა, მიაწოდონ ჟურნალის რედაქციას ავტობიოგრაფიული თხზულებები საკუთარ ბავშვობაზე. პროექტი ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტ ტელევიზია Gtjkb,sd-ისთან ერთად.

ჟურნალ „ანეულის" გამოსვლას მიესალმნენ: **ბადრი ქუთათელაძე, ლინა ბარათაშვილი, ემზარ კვიტაიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ნინო ჩხიკვიშვილი, ზაურ ფიფია, რეზო (ემელიანე) ადამია, თამარ გაბროშვილი, ნინო ქუთათელაძე, ლალი ჯაფარაშვილი, თამაზ ხმალაძე, გიგო სვანიძე და სხვ.**

საღამო გაალამაზეს საპატრიარქოს ვაჟთა ანსამბლმა „ლაზარემ" და გოგონათა ანსამბლმა „იავნანამ" (ხელმძღვანელი გიორგი სუხიშვილი), ანსამბლმა „მეხური" (ხელ. ნინო ჯავახიძე) და ეკატერინე გაზერაშვილმა.

წარდგინებას ესწრებოდა რევაზ ინანიშვილის მეუღლე, ქალბატონი **როზა ინანიშვილი.**

**მამუკა ვაშაკიძე**

◉ ალიან-ჩალიანი

## დაკავებულია ქურდული სამყაროს 12 წევრი

**შინაგან საქმეთა სამინისტრო ე.წ. კრიმინალურ სამყაროსთან კავშირის გამო რამდენიმე პირის დაკავებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს მასშტაბით ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, სამეგრელოში, იმერეთსა და თბილისში ერთდროულად დააკავეს წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი, ქურდული სამყაროს 12 წევრი, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი – კახა მ. და ერთი ქალბატონი – თამარ ძ. გარდა ამისა დაკავებულები არიან: რეზო ხ, ვლადიმერ ხ, შალვა ჯ, ელიზბარ დ, ლაშა თ, თამაზ მ, ლევან ხ, ირაკლი ც, მაიზერ ბ, ნიკოლოზ ბ.**

**– გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ე. წ. ქურდულ სამყაროს აღიარებენ და სხვადასხვა სარგებლის მიღების მიზნით, ქურდული კანონების შესაბამისად, სპეციალური წესების დაცვით მოქმედებდნენ და მიზანმიმართულად ცდილობდნენ ქურდული სამყაროს ინტერესების საზოგადოებაში დანერგვასა და განმტკიცებას. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი ე. წ. კანონიერი ქურდების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ისინი ქურდული სამყაროს მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი პირებისგან კონკრეტულ დავალებებს იღებდნენ და ასრულებდნენ, – ნათქვამია შსს-ის განცხადებაში.**

## სპეციალური ციხე ნარკომანებისათვის

**საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის შესაძლოა, სპეციალური ციხე, სამკურნალო დაწესებულება შეიქმნას. როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა პროექტ „საქართველოს მთავრობა –- ღია მმართველობისთვის" ფარგლებში ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, ნარკოტიკებთან დაკავშირებით ყოფილი ხელისუფლების ვითომ მკაცრმა სისხლის სამართლებრივმა პოლიტიკამ სრული კრახი განიცადა.**

**სოზარ სუბარის თქმით, სწორედ წინა ხელისუფლების დროს, ნარკოტიკური დანაშაული იატაკქვეშეთში გადავიდა, გაიზარდა და გაძლიერდა.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### ველოტრენაჟორი... ტელევიზორის წინ

**ავსტრალიაში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ტელევიზორის ცქერა ადამიანს საშუალოდ სიცოცხლის ხუთ წელს ართმევს.**

მკვლევარებმა ერთმანეთს იმ ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეადარეს, ვინც ტელევიზორს ხშირად უცქერის და ვინც მას საერთოდ არ უყურებს. აღმოჩნდა, რომ 25 წელს გადაცილებულ კაცს, რომელიც ტელევიზორს ერთი საათის განმავლობაში უყურებს, სიცოცხლის 22 წუთი აკლდება. იმის გათვალისწინებით, რომ საშუალო სტატისტიკური ავსტრალიელი ტელევიზორთან დღეში 6 საათს ატარებს, ფაქტობრივად, გამოდის, რომ იგი სიცოცხლეს 5 წლით იმოკლებს.

მეცნიერთა აზრით, სატელევიზიო გადაცემების ყოველდღიური ცქერა ორგანიზმზე თამბაქოს მოწევის, ცხოვრების პასიური წესისა და საკვების ჭარბი მიღების ეფექტს ახდენს (აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სამივე ამ ქმედებას უმრავლესობა სწორედ ტელევიზორის ცქერისას სჩადის). ისმება კითხვა: განა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ტელევიზორის ცქერაზე უარი უნდა ვთქვათ? ექიმები გვირჩევენ, რომ ტელევიზორის წინ არა ტახტი, არამედ ველოტრენაჟორი, ან სირბილის ბილიკი დავდგათ, მაშინ ტელევიზორის ცქერა თქვენს ჯანმრთელობას სარგებელს მოუტანს.

### ცოტა, მაგრამ ღრმა ძილი ჯობს

**ძილის შესწავლის მილანური ცენტრის ფსიქიატრი რაფაელ მორელი იმ ხალხის დასაცავად გამოვიდა, ვისაც... ცოტა სძინავს.**



მისი განცხადებით, ნაპოლეონს დღე-ღამეში 4 საათზე მეტი არასდროს სძინებია, ჩერჩილს — 3 საათზე მეტი, ლეონარდო და ვინჩი კი სიზმრებს სულაც ყოველ 4 საათში ერთხელ 15 წუთით „ნახულობდა". პროფესორი მორელის თქმით, საკმაოდ ხანმოკლე, მაგრამ ღრმა და სიზმრებით მდიდარი ძილი კაცს გონების სიმხნევის შენარჩუნებაში ეხმარება. ისინი კი, ვისაც დიდხანს სძინავს, ცუდად აზროვნებენ.

### იკვებეთ განრიგით!

**იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ცხიმებს შეუძლიათ... ჭარბი წონის დაკლებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება.**

მკვლევარებმა მეცნიერულად სავსებით დასაბუთებული მეთოდი შექმნეს, რომლის გამოყენებისას ცხიმი გახდომას „ხელს უწყობს". მათი მტკიცებით, გახდომაში ყველაზე მთავარია საკვების მიღების ხისტი გრაფიკის დაცვა. თურმე, იმდენად მნიშვნელოვანი ის კი არ არის, თუ რას მიირთმევთ, არამედ საკვების მიღების გარკვეული დრო და მისი ოდენობა.

### საყიდლებზე ისევ ცოლებმა იარონ

**ბრიტანელი მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ მაღაზიებში საყიდლებზე სიარული (ანუ შოპინგი) მამაკაცებისთვის მავნეა.**

აღმოჩნდა, რომ მამაკაცებში არტერიული წნევის ცვალებადობა გავლილი დახლების ოდენობასა და საყიდლებზე დახარჯულ დროზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, რომ მსგავსი დატვირთვა გულის სისხლძარღვთა დაავადებათა წარმოშობის რისკს ზრდის.

### სუფთა კანს რა ჯობს!



**ბევრს ფერიმჭამელები აქვს, რასაც წლების მანძილზე ვერ იცილებს. არადა, თურმე მათი მოსპობის მეტად მარტივი საშუალება არსებობს.**

ფერიმჭამელების გაქრობაში ალოეს წვენი დაგეხმარებათ, რომელიც სახეზე ან სველსაფენით უნდა დაიდოთ, ანდა კანი როგორც ლოსიონით გაიწმინდოთ. ცხიმიანი კანის გამოშრობით ალოე ფერიმჭამელებსაც მოგაცილებთ.

გარდა ამისა, ძალიან სასარგებლოა ყოველდღე ერთი ჩაის კოვზი ლუდის საფუებლის სმა, რომელიც კანს გაგისუფთავებთ.

### შიმშილობის სიკეთე

**სამხრეთ კალიფორნიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შიმშილობა არა მარტო გახდომას უწყობს ხელს, არამედ 15-30 წლით სიცოცხლის გახანგრძლივებას უწყობს ხელს.**

მკვებავ ნივთიერებათა უკმარისობის დროს ორგანიზმში ქსოვილთა ზრდასა და აღდგენაზე პასუხისმგებელი ჰორმონის შემცველობა კლებულობს. ეს ჰორმონი დიდადაა მნიშვნელოვანი ახალგაზრდობაში, ასაკოვან ხალხში კი იგი დაბერებას აჩქარებს.

### ქალბატონს ყავა, მე – ასი გრამი!... საქმე გვაქვს გასარჩევი!

**ყავა დადებითად მოქმედებს სტრესულ მდგომარეობაში მოყოლილ ქალბატონთა გონებრივ შესაძლებლობებზე, მამაკაცებში კი, რომლებიც გარკვეული მიზეზით ნერვულ დაძაბულობას განიცდიან და ფინჯანი ყავით თავის შველას ცდილობენ, ეს საწინააღმდეგო ეფექტს იწვევს, რადგან ამ დროს მათი თავის ტვინის აქტივობა ნელდება, აცხადებენ ინგლისელი მკვლევარები, რომლებიც ექსპერიმენტის შედეგებს იმოწმებენ.**



ორივე სქესის მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს: ერთს ჩვეულებრივი ყავის დალევას სთავაზობდნენ, მეორეს — უკოფეინოს. ამის შემდეგ გამოსაცდელებს თავიანთი გონებრივი შესაძლებლობები უნდა ეჩვენებინათ — სხვადასხვა თავსატეხი გამოეცნოთ და დამახსოვრების ტესტები გაევლოთ.

აღმოჩნდა, რომ საშუალოდ 100 წამში ამოცანებს გაუმკლავდნენ სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომლებმაც უკოფეინო ყავა მიირთვეს. მამაკაცები კი, ნატურალური ყავის დალევის შემდეგ, ამოცანების ამოხსნაზე საშუალოდ 20 წამით მეტს ფიქრობდნენ, თანაც ინფორმაციას გაცილებით უარესად იმახსოვრებდნენ.

## ანეკდოტები

**— როგორ უყურებ სპორტს?**
**— ჩვეულებრივ ლუდითა და ჩიპსებით.**

* * *



**ექიმის შვილს ერთხანს ეგონა, რომ მამამისი ერთდროულად მუშაობდა საკონდიტრო ფაბრიკასა და ღვინო-არყის ქარხანაში.**

* * *

**— მე სანახევროდ ანტისემიტი ვარ.**
**— ეს როგორ?**
**— ებრაელი კაცები მძულს, მაგრამ ებრაელი ქალები მიყვარს.**

* * *

**წვერი და ულვაშები — ეს მატერიალიზებული სიზარმაცეა.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### რა თანამდებობა შესთავაზა ივანიშვილმა ზურაბიშვილს

მაინც რა თანამდებობა შეიძლება შეეთავაზებინათ ქალბატონ სალომესთვის? გავრცელებული ინფორმაციით, მას 2015 წლის თვითმმართველობის არჩევნებში კოალიციის სახელით თბილისის მერის თანამდებობაზე კენჭისყრა შესთავაზეს.

თუმცა ეს, ცოტა არ იყოს, შორეული პერსპექტივაა, სალომე ზურაბიშვილი კი, როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გააქტიურებას უახლოეს მომავალში გეგმავს.

**„ყველა სიახლე"**

### „რა მტკიცებულებები უნდა ქონდეთ? ადგნენ და მიჩივლონ!"

რუსეთში ძებნილმა „რევოლუციონერმა" დეპუტატმა გივი თარგამაძემ საქართველოში დაბრუნებისთანავე ბრიფინგი ჩაატარა და რამდენიმე სკანდალური განცხადება ერთდროულად გააკეთა: გვიამბო, როგორ „დაუძვრა ხელიდან" ვლადიმერ პუტინს, „მეცხრე არხს" ბრალდება წაუყენა და განაცხადა, ივანიშვილთან ერთად, ამ ტელეკომპანიის მფლობელი პუტინიცაა და გვამცნო, რომ შესაძლოა, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანოს.

**„ვერსია"**

### რუსეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკებები ჩაიშალა

აზერბაიჯანის საქართველოზე დამოკიდებულება იზრდება. ნავთობის ტრანზიტთან დაკავშირებით აზერბაიჯანმა რუსეთთან შეთანხმებას ჯერ კიდევ ვერ მიაღწია, შესაბამისად, ამ ქვეყნის დასავლეთში ნავთობის ტრანზიტისთვის ქართული დერეფანი რჩება. პრემიერ დიმიტრი მედვედევის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, რუსეთმა საკუთარი ტერიტორიის გავლით აზერბაიჯანული ნავთობის ტრანზიტთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებები ჩაშალა.

**„რეზონანსი"**

### ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ივანიშვილს უპირისპირდება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ქვეყნის ხელისუფლების ქმედებებს ყოველთვის აკრიტიკებდა. მათი რჩევა-რეკომენდაციები სააკაშვილის მთავრობას არასდროს გაუთვალისწინებია. ამასთან, კრიტიკის გამო არც მათი ლანძღვა დაუწყია — სამაგიეროდ, ბიძინა ივანიშვილს შემოეკრიტიკა საია. პრემიერის რისხვა საიამ 13 მაისს გაკეთებული განცხადების გამო დაიმსახურა, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკავებულ თანამშრომლებს ეხებოდა. ივანიშვილის განცხადება უპასუხოდ არც საიას დაუტოვებია.

საიას გაკრიტიკების გამო, ბუნებრივია ნაციონალებიც აღშფოთდნენ. ამ შემთხვევაში მათი აღშფოთება სამართლიანია.

**„ახალი თაობა"**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში"*
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com